ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №35, ივლისი, 2016 წელი

სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის იუბილე - ქართული მუსიკალური კულტურის ბაზაზე

კონსერვატორიის დიდ დარბაზში სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალურმა სასწავლებელმა დაარსებიდან 85, ხოლო დევნილობაში მოღვაწეობიდან 20 წლის იუბილე აღნიშნა და ერთგვარი ანგარიში ჩააბარა დამსწრეთ. აქ შეკრებილი საზოგადოება სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეების, პედაგოგებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით გამართული საიუბილეო კონცერტის მოსმენის შემდეგ „სასიამოვნოდ გაოცებული“ დარჩა. როგორც პროფესიონალმა მსმენელებმა აღნიშნეს, ის ღირსეულად წარსდგა სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე.

კონცერტის დაწყებამდე აუდიტორიას სასწავლებლის დაარსების ისტორია, მის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები და დევნილობაში მოღვაწეობის წლები შეახსენეს. ამ ისტორიის ერთგვარი ლოგიკური გაგრძელება იყო სასწავლებლის მოსწავლეების მიერ საოცარი ვირტუოზულობით შესრულებული ქართველი თუ უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

გაგრძელება გვ. 4

ლტოლვილთა საერთაშორისო დღე მარჯანიშვილის თეატრში

გვ.3

თედო სახოკიამ როგორც მოციქულმა, ჩვენამდე წინა ეპოქის სული მოიტანა

გვ.6

თუ ერთმანეთის ენა არ გვეცოდინება, ვერც ერთმანეთის სათქმელს გავიგებთ

გვ.8

სპორტი

გვ.11

ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. საეკლესიო ტრადიციით, ქრისტიანობა საქართველოში I საუკუნის 50-70-იან წლებში მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა, მატათამ, ბართლომემ და თადეოზმა იქადაგეს.

ქართული საისტორიო ტრადიციით მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი სამხრეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ, ,,სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი. და უქადაგეს სიტყუა ღვთისა და მრავალთა შეიწყნარეს“. ანდრია პირველწოდებული შემდეგ სკვითეთში გადავიდა, ხოლო სიმონ კანანელი, რომელიც აქ აგრძელებდა მოღვაწეობას, აქვე აღესრულა და ციხე-ქალაქ ნიკოფსიაში დაკრძალეს.

გაგრძელება გვ. 7



აინშტაინიც ლტოლვილი იყო

დავით ნინიძე

სამწუხაროა, მაგრამ ლტოვილობის თუ დევნილობის ისტორია ორი ათასზე მეტ ხანს ითვლის. როგორც ფიქრობენ, პირველი დევნილები ის ათიათასობით ადამიანი იყო, რომლებმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 695 წელს იუდეაში შეჭრილი ასირიის მეფის - სინახერიბის მხრიდან დევნას ეგვიპტეში გაქცევით უპასუხეს. VIII-X საუკუნეებში ვიკინგთა გაუთავებელ თავდასხმებს 40 ათასზე მეტმა ბრიტანელმა საფრანგეთში გადასახლებით დააღწია თავი. XIII საუკუნეში მონღოლთა ურდოების შემოსევებს, რამაც წყნარი ოკეანიდან დაწყებული, ხმელთაშუა ზღვამდე უწია, მილიონამდე ადამიანი აიძულა, თავის სამკვიდროში ცხოვრება მიეტოვებინა, უცხოობაში ეძებნა გადარჩენა და ბედი.

გამონაკლისი არც XX და XXI საუკუნეები გამოდგა. გამონაკლისი კი არა, შეიძლება, თავისი სისხლიანი ქრონიკებით ეს ასწლეულები პირველობაშიც კი შეეცილოს ათასწლეულებს.

მსოფლიო და რეგიონულმა ომებმა, იდეოლოგიურმა ექსტრემიზმმა, რომელთა შორის, მსხვერპლისა და დევნის მასშტაბებით, კომუნიზმი და ფაშიზმი გამოირჩეოდა, ათეულ მილიონობით ადამიანი განარიდა „ბედს (ამ შემთხვევაში, ალბათ, უბედურებას) მდევარს“.

ეთნიკური თუ რელიგიური დევნის მარწუხებს გაქცეულთა შორის ის ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც საკუთარი გენიის გამო იქცნენ ლტოლვილებად და, ამავე დროს, იმავე გენიის წყალობით, განსაზღვრეს მეცნიერებისა თუ ხელოვნების განვითარება ათეულობითა და ასეული წლის განმავლობაში.

ცხოვრების სიამეთა თუ სხვა „მნიშვნელოვან“ გარემოებათა მორევში ჩაძირულთ გვავიწყდება ისეთი „წვრილმანები“, როგორიც ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ადამიანთა და ხელოვნებისა თუ სხვა სფეროების ოლიმპზე დამკვიდრებულთა დრამატული ბედია. ისიც აღარ ვიცით, ან ვიცით და აღარ გვახსენდება, რომ ლტოლვილები იყვნენ თვით ალბერტ აინშტაინი, თომას მანი, მადლენ ოლბრაიტი, ნილს ბორი... ამ სიის გაგრძელებამ შეიძლება ბოლოს ისევ საქართველომდე მოგვიყვანოს და იმ ასეულობით ათასი ადამიანის მწუხარება და ტრაგედია გაგვახსენოს, რომელთა უმეტესი ნაწილი ეთნიკური დევნის მსხვერპლი შეიქნა. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარ მოვლენებს ნიჭით გამორჩეული არაერთი ადამიანი ემსხვერპლა და გამორიცხული არ არის, კიდევ უფრო დიდმა ნაწილმა ვეღარც გაამჟღავნოს საკუთარი თავი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი საერთოდ ვეღარ მოევლინებიან ცოდვებით დამძიმებულ სამყაროს.

60 წელზე მეტია, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი ეთნიკური თუ რელიგიური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის დევნის აღსაკვეთად.

მსოფლიოში ამჟამად, როგორც ვარაუდობენ, სამოც მილიონზე მეტი ლტოლვილია. სამწუხაროა, მაგრამ მათგან 300 ათასამდე საქართველოში გვექცა დევნილად. საერთაშორისო თანამეგობრობა, გაეროსა თუ კონკრეტული ქვეყნების სახით, მათ თანადგომას უცხადებს და ეხმარება კიდეც, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დღევანდელი მსოფლიო კვლავაც უძლურია, ათასობით ადამიანი დააბრუნოს მშობლიურ სახლებში, სამკვიდროში, რომლის მიტოვებაც დევნილებად ქცეულ ადამიანთა ნება არ ყოფილა.

რედაქტორისაგან: ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი გაეროს კეთილი ნების ელჩია. ის ხშირად სტუმრობს სირიელი ლტოლვილების ბანაკებს, ისმენს მათ ისტორიებს და შემდეგ შესაბამის მოხსენებებს საერთაშორისო კონფერენციებზე აკეთებს.

ნიშანდობლივია, რომ ანჯელინა ჯოლის 9 წლის ქალიშვილი - შაილო, გოგონასავე ინიციატივით, დედასთან ერთად თურქეთსა და ლიბანში, ლტოლვილების ბანაკში რამდენჯერმე იმყოფებოდა.

ამას წინათ პაპარაცებმა ანჯელინა ჯოლი შვილებთან ერთად ლოს-ანჯელესის აეროპორტში აღბეჭდეს, როცა ისინი ლონდონში, ბრედ პიტთან მიდიოდნენ. გოგონას მაისურზე გამოსახული იყო ალბერტ აინშტაინის ფოტო, წარწერით: „აინშტაინიც ლტოლვილი იყო“. ეს იყო გოგონას პირველი თამამი პოლიტიკური განცხადება, რომლითაც მან დედის მზგავსად, მსოფლიოს მილიონობით ლტოლვილისა თუ დევნილის მიმართ თანადგომა გამოხატა..

თემის გაგრძელება მე-3 გვერდზე

აფხაზეთის სკოლები ოქროსა და ვერცხლის 14 მედალოსანმა დაამთავრა

საკუთარი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, აფხაზეთის საჯარო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს. დევნილ ახალგაზრდებს მედლები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ მანანა ქვაჩახიამ გადასცეს.

მათ წარმატებულ ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და ცხოვრების ასპარეზზე თვალსაჩინო მიღწევები უსურვეს. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწორედ ახალგაზრდა თაობას მოუწევს აფხაზეთში დაბრუნების და აფხაზ თანატოლებთან საერთო ენის გამონახვის გზების ძიება, აფხაზეთის აღმშენებლობისთვის ზრუნვა. მათ მიერ გადადგმული ყოველი წარმატებული ნაბიჯი კი ამ უდიდეს მისიას უნდა ემსახურებოდეს. წლეულს აფხაზეთის საჯარო და საშუალო სკოლები ოქროსა და ვერცხლის მედლებზე 14-მა მოსწავლემ დაამთავრა, მათ შორის 4 აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდანაა.

განცხადება

აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციის მიზნით

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები დაწესდა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, აფხაზეთის საკითხის პოპულარიზაციის მიზნით, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები დააწესა.

სტიპენდიები მიენიჭებათ აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე, განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით გამორჩეულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა (პოლიტიკის მეცნიერების დარგში) და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მოსაპოვებლად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს მოეთხოვებათ მაღალი აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორობა ან თანაავტორობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, მაღალი საზოგადოებრივი აქტიურობა.

სტიპენდიის ოდენობა მაგისტრატურის სტუდენტისათვის შეადგენს თვეში 150 ლარს, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის - თვეში 100 ლარს.

სტიპენდიანტებს სტიპენდია მიეცემათ დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (ათი თვე).

პირველადი შედეგები შეჯამდება აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში,

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს

ტელ: 595 34 33 20 (ნინო ლობჟანიძე).

ლტოლვილთა საერთაშორისო დღე მარჯანიშვილის თეატრში

მაია შონია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად 20 ივნისი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. ამ დღის დაარსების მიზეზი პრობლემის აქტუალობა გახდა. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება. დღეისათვის ამ სტატუსის მატარებელთა რიცხვი 60 მილიონს აჭარბებს. საცხოვრებლისა და ელემენტარული პირობების გარეშე დარჩენილი ადამიანები ყოველდღიურად საჭიროებენ მხარდაჭერასა და დახმარებას. 20 ივნისი კი მთელ მსოფლიოში მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვის დღეა.

20 ივნისს აფხაზეთის ა/რ მთავრობამაც აღნიშნა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა საერთაშორისო დღე. მარჯანიშვილის თეატრში გამართულ საღამოზე მოწვეულ საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენეს საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილთა პრობლემები და სოლიდარობა გამოხატეს მთელი მსოფლიოს ლტოლვილების მიმართ.

მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილ მხატვართა ნამუშევრები. აქვე გამოიფინა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და მუჰაჯირობის ისტორიის ამსახველი ფოტომასალა. გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა, აფხაზეთის ფოლკლორული ანსამბლი „დიოსკურია“, ბავშვთა ანსამბლი „კავკასიონი“, პიანისტები თეო ხელაძე, ანა და გიგა პაპავები, მომღერალი მარიკა გულორდავა. საქართველოს სახალხო არტისტმა დიმიტრი ჯაიანმა წაიკითხა შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“.

კონცერტის დაწყებამდე დევნილთა პრობლემებზე ისაუბრა **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ: - რატომ შევიკრიბეთ დღეს აქ? იმიტომ, რომ ჩვენი ხმა მიწვდეს მსოფლიოს გავლენიან სახელმწიფოებს, რომ ლტოლვილთა პრობლემის მოგვარების გზა მშვიდობაზე გადის. ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოს მრავალათასიანი დევნილი მოსახლეობის პრობლემა აქვს. მათი აბსოლუტური უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კი ნამდვილად არ არის სახარბიელო. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა უფლებათა დაცვისა და რეალიზაციის კუთხით ბოლო პერიოდში ბევრი მნიშნელოვანი რამ გაკეთდა საქართველოში. ეს ეხება დევნილთათვის ალტერნატიული საარსებო წყაროს მოძიებას, ბინით უზრუნველყოფას, ჯანდაცვის საკითხებს, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და ა.შ. მაგრამ ჩვენ მაინც რთულ მდგომარეობაში ვართ. ვერ ვბრუნდებით საკუთარ სახლებში და ეს ხდება ჩვენსავე სამშობლოში, ჩვენსავე მიწა-წყალზე. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორი ხვედრი ერგოთ სამშობლოდან გადახვეწილ, უსახლკარო ადამიანებს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სვიმონ კანანელის ხსენების დღე 23 მაისი აფხაზეთის დღედ გამოცხადდა. სამჯერ აღვნიშნეთ ეს დღე, მაგრამ წლეულს ხურჩაში მომხდარი უბედურების გამო არ აღგვინიშნავს. ეს იყო ჩვენი გარკვეული პროტესტი იმის მიმართ, რომ საკუთარ სამშობლოში არ უნდა უსწორდებოდნენ ადამიანებს ისე, როგორც გიგა ოთხოზორიას გაუსწორდნენ.

გაეროს მიერ დაწესებული ლტოლვილთა საერთაშორისო დღე ჩვენთვის, დევნილებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ დღეს მთელ მსოფლიოსთან ერთად ჩვენც ვუერთდებით ლტოლვილთა მრავალმილიონიან არმიას. ეს დღე სიმბოლოა იმისა, რომ ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს, მშობლიურ გარემოს.

სოზარ სუბარმა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა იმ პროექტებზე ისაუბრა, რომელსაც სახელმწიფო დევნილთა მხარდასაჭერად ახორციელებს: - რაც ადამიანი გაჩნდა, მას შემდეგ ომი თან სდევს მას, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა პერიოდი, ამდენი ადამიანი ყოფილიყოს დევნილი. დღევანდელ მსოფლიოში 60 მილიონზე მეტი ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარ სახლში ცხოვრებას იმის გამო, რომ მას დევნიან, მასზე ძალადობენ. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ათი პროცენტი იძულებით გადაადგილებულია. მათი ნაწილი უცხოეთშია და იქ ჰპოვა თავშესაფარი. დიდი ნაწილი კი საკუთარ სამშობლოში ცხოვრობს ამ სტატუსით. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გააუმჯობესოს ამ ადამიანების საცხოვრებელი პირობები. დევნილები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოქალაქეები, იმსახურებენ, ჰქონდეთ ბინა, სამსახური და ნორმალური საცხოვრებელი. მართალია, ჩვენ მათ საცხოვრებელ სახლებს სამუდამო მფლობელობაში გადავცემთ, მაგრამ მათი და ჩვენი საბოლოო სახლი არის სოხუმი, აფხაზეთი.

გიორგი ვოლსკმა, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა: - ხშირად თავს ვიმართლებთ, ერთმანეთს ვსაყვედურობთ იმაში, რომ ვერ დავაკმაყოფილეთ ყველა დევნილის მოთხოვნა, ვერ მივეცით ყველას ბინა. უსამართლობაზე უფრო მეტია ლაპარაკი, ვიდრე იმაზე, რაზეც სოზარ სუბარი ფიქრობს და აკეთებს დევნილებისთვის. რა უნდა გაკეთებულიყო, რა გაკეთდა და რას ვაკეთებთ, ამაზე ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ და წინასაარჩევნო კამპანია გამომივა. აქ ამის დრო არ არის. უფრო მეტი უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან, იმაზე მეტი, ვიდრე გაკეთდა, ვიყოთ სამართლიანები, ხშირად შევახსენოთ ერთმანეთს ჩვენი არსებობა და ხშირად შევიკრიბოთ, დარდი და სიხარული გავუზიაროთ ერთმანეთს გნებავთ ქართულ სუფრაზე, გნებავთ თეატრში. ვთქვათ, რომ ცოცხლები ვართ, ვარსებობთ, ვწერთ, ვქმნით.

გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: - ლტოლვილთა დღე საერთოდ არ უნდა არსებობდეს დედამიწაზე, მაგრამ ცხელი და გაყინული კონფლიქტები ამის საშუალებას არ გვაძლევს. ამ ადამიანების რიცხვი, სამწუხაროდ, სულ უფრო იზრდება. მინდა მადლობა გადავუხადო აფხაზეთისა და ცხინვალის მკვიდრთ იმისთვის, რომ შეძლეს და თავიანთ შვილებს განათლება და ჯანმრთელობა მისცეს. მადლობა იმათაც, ვინც მხარში დაუდგა ამ ადამიანებს და საქმით თუ არა, სიტყვით მაინც აგრძნობინა სიკეთე და სიყვარული. მადლობა მინდა ვუთხრა აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილებს, ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს ქართველობისა და ღირსების შესანარჩუნებლად. დანარჩენი ყველაფერი ნელ-ნელა დაბრუნდება. უფალს ვთხოვ, ლტოლვილთა დღე სულ მალე იქნეს ამოღებული კალენდრიდან და იძულებით გადაადგილებული პირი და დევნილი გაქრეს ჩვენი ლექსიკიდან.

თემურ ხაჟბა, აფხაზეთიდან დევნილი: - მე ვარ ეროვნებით აფხაზი, დევნილი სოხუმიდან. 2012 წლიდან ვცხოვრობ თბილისში. მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც დამეხმარა საცხოვრებლისა და სამუშაოს შოვნაში. იმედი მაქვს ყველაფერი შეიცვლება და იქნება ისე, როგორც ადრე იყო.

სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის იუბილე - ქართული მუსიკალური კულტურის გამოცხადება

მაია შონია

პირველი გვერდიდან

85 წლის წინათ ქალაქ სოხუმში დაარსებული სამუსიკო ტექნიკუმი წლების განმავლობაში აზიარებდა ახალგაზრდობას მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურს. აფხაზეთში არსებულ ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ სასწავლებელს, როგორც მისი ამჟამინდელი დირექტორი დავით ოკუჯავა იხსენებს, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, მუსიკისმცოდნისა და ეთნოგრაფის დიმიტრი არაყიშვილის სახელი იმიტომაც ეწოდა, რომ მუსიკოსი წლების განმავლობაში აგროვებდა აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებს. გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ ტექნიკუმმა სოხუმში მოღვაწეობა შეწყვიტა. აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მაშინდელი კულტურის მინისტრის სვეტლანა ქეცბას დიდი ძალისხმევით, 1996 წელს ტექნიკუმმა სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის სტატუსით დედაქალაქში განაგრძო მოღვაწეობა. სასწავლებლის პედაგოგთა და კურსდამთავრებულთა სიაში დღეს უკვე არაერთი ცნობილი მუსიკოსის სახელი და გვარი იკითხება.

კონსერვატორიის სცენაზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ სასწავლებლის დირექტორმა **დავით ოკუჯავამ** განაცხადა:

- ჩვენთვის ეს დღე არის დღესასწაული. მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის ა/რ მთავრობასა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის სულიერების ცენტრს. მადლობას ვუხდი ყველა ჩემს პედაგოგს ამდენი წლის დაუღალავი შრომისათვის. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პატარა მეგობრებს, ჩვენს მოსწავლეებს, ჩვენს უსაყვარლეს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას იმისთვის, რაც მათ ამ კონცერტზე გააკეთეს. ჩემზე ბედნიერი ადამიანი ახლა ამ სცენაზე არ დგას. მადლობას ვუხდი ქალბატონ სვეტლანა ქეცბას იმ დიდი საქმისთვის, რაც მან გააკეთა 1996 წელს - დევნილობაში საფუძველი ჩაუყარა ამ სასწავლებლის აღდგენასა და აღორძინებას. ჩვენი და მთელი საქართველოს სურვილია, რომ ამგვარი კონცერტები სოხუმში, ჩვენი სასწავლებლის ულამაზეს შენობაში ჩავატაროთ.

კონცერტი საქართველოს პარლამენტის წევრმა **თემურ ჭკუასელმა** ასე შეაფასა:

- სასიამოვნოდ გაოცებული ვარ. ადამიანი, რომელმაც შემომთავაზა ამ კონცერტზე დასწრება, მთელი კონცერტის განმავლობაში გვერდით მეჯდა და იმასაც გავუზიარე ჩემი გაოცება: მართალი გითხრათ, ასეთ ხარისხს არ ველოდი. უმცროსკლასელებით დაწყებული, სასწავლებლის კურსდამთავრებულებით დამთავრებული, ყველა მომეწონა, ყველა მათგანი შესანიშნავი მოსასმენი იყო. ვოკალიც ძალიან კარგი იყო. მე ერთი პერიოდი სოხუმში მომიწია ცხოვრება და სოხუმის პირველ სკოლაში ვსწავლობდი. ვმეგობრობდი ძალიან ბევრ ადამიანთან, მაგალითად, ლერი ხარატთან, რომელიც ერთ დროს ამ სასწავლებლის დირექტორი იყო. ასე რომ, ერთგვარად მშობლიური გარემოც იყო და ძალიან მესიამოვნა ეს ყველაფერი. სასწავლებლის თბილისში არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსწავლეებისთვის, იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც კონცერტზე ბრწყინვალედ შეასრულეს ცნობილი კლასიკოსების ნაწარმოებები. ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა ზოგადად მნიშვნელოვანია, მაგრამ ორმაგად მნიშვნელოვანია, როდესაც ეს სასწავლებელი მათი მშობლიური კუთხიდან იღებს სათავეს, ასეთი შესანიშნავი პედაგოგები ასწავლიან და აფხაზეთის მთავრობა ასე ზრუნავს მათზე. სასწავლებელში იზრდებიან თაობები, რომელთაც აფხაზეთი საერთოდ არ უნახავთ და ეს სასწავლებელი ალბათ მათთვის მშობლიურ კუთხესთან იდენტიფიცირების საშუალებაცაა. მათ არ უნახავთ აფხაზეთი, მაგრამ ჩვენ ხომ გვინახავს და რაც ახლა იქ ხდება, კატასტროფაა თავად აფხაზებისთვისაც. სასწავლებელს ვუსურვებ წარმატებას. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს იმას, რომ სასიამოვნოდ გაოცებული ვარ და თუ კიდევ გადავაწყდები სადმე ამ სასწავლებლის კონცერტს, აუცილებლად დავესწრები.

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი:

- დიდი პატივია კონსერავტორიის დიდ დარბაზში ასეთი კონცერტის გამართვა. მე თვითონაც მორიდებით ვდგავარ აქ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ სცენაზე ზურაბ ანჯაფარიძე და სხვა დიდი მომღერლები იდგნენ და დგანან. დიმიტრი არაყიშვილის მუსიკალური სასწავლებელი სოხუმის სიამაყე გახლდათ. შენობა იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ულამაზესი ოაზისი, სადაც ბრწყინვალე მუსიკოსები გაიზარდნენ. მაქვს პატივი აფხაზ ქალბატონ სვეტლანა ქეცბას უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ სიყვარულისთვის, რომელმაც ეს სასწავლებელი აქამდე მოიტანა. მადლობას ვუხდი ბატონ დავით ოკუჯავას და თითოეულ პედაგოგს, რომელთაც შეინარჩუნეს ეს ყველაფერი და საოცარ თაობებს ზრდიან. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მადლობის წერილებს გადასცემს სასწავლებლის ყველა პედაგოგს და უსურვებს მათ, ასე გაეგრძელებინოთ ჯერ კიდევ სოხუმში დამკვიდრებული ტრადიციები.

თითქმის საუკუნის განმავლობაში მისი ბაბუის სახელის ამაყად მატარებელი მუსიკალური სასწავლებლის წარმატებული კონცერტის მოსმენის შემდეგ, ემოციებს ვერ მალავდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის შვილიშვილი, მუსიკისმცოდნე **დინარა არაყიშვილი**:

- ამაყი და გაოცებული ვარ, რომ ასეთი თბილი და პროფესიონალური საღამო გამართეს. ასეთი დონე, ასეთი პედაგოგები, ასეთი ორგანიზება - ასე მგონია, სოხუმში ვარ. იმედია, ჩვენ იქ მართლაც დავბრუნდებით და ბაბუაჩემის სახელობის სასწავლებელი ისევ ამაყად გააგრძელებს მოღვაწეობას. დიდი მადლობა ამ კოლექტივს და საღამოს ყველა მონაწილეს, ასეთი ლამაზი საღამოსთვის.

სასწავლებლის ერთ-ერთმა წარმატებულმა კურსდამთავრებულმა, მომღერალმა **თამთა ცხვიტავამ** სასწავლებელში გატარებული წლები გაიხსენა და თქვა:

- ფაქტობრივად, ამ სასწავლებელში გავიზარდე. გურამ ყურაშვილის გუნდში ვმღეროდი. მეოთხე კურსზე ვიყავი, როდესაც თბილისში გადმოვედი. ბავშვობიდან მახსოვს ეს სასწავლებელი და მისი შენობა. კონცერტი იმდენად მომეწონა, იმდენად მაღალი დონე და ხარისხია, გაოცებული ვარ. სასწავლებელს სოხუმშიც ყოველთვის კარგი დონე ჰქონდა, მაგრამ დევნილობაში ამის შენარჩუნება ძალიან ძნელია. მინდა ვუსურვო, რომ ეს სიმაღლე არ დათმონ, შეინარჩუნონ, ასე გააგრძელონ და რაც მთავარია, ძალიან მალე დავბრუნებულიყავით ჩვენს სასწავლებელში სოხუმში.

კონცერტზე კომპოზიტორ **ვაჟა აზარაშვილის** ნაწარმოებებიც შესრულდა. კომპოზიტორმა შემსრულებლები ასე შეაფასა:

- არაჩვეულებრივი ხმები მოვისმინეთ, განსაკუთრებით ალუდა თოდუას შესრულება დამამახსოვრდა, არაჩვეულებრივი ბარიტონია, სოპრანოებიც მშვენიერი იყო. საფორტეპიანო შესრულება, მათ შორის დუეტები, ძალიან მომეწონა. რამდენი კარგი მუსიკოსი აღუზრდია ამ სასწავლებელს. დიდი მადლობა, რომ ამდენს ახერხებენ. მიკვირს, დევნილობაში როგორ შეძლეს ამის გაკეთება. ეს ქართული მუსიკალური კულტურის დიდი გამარჯვებაა. ვისურვებ, რომ ეს ყველაფერი სოხუმში ჩაგვეტანოს. ჩვენ ხომ იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ ოდესმე აუცილებლად დავბრუნდებით ჩვენს ულამაზეს აფხაზეთში.

სოხუმში დაწყებული და დევნილობაში გაგრძელებული ისტორია

დავით ოკუჯავა, სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი

85 წლის წინათ სოხუმში, მუსიკის უმშვენიერესი ტაძრის კარები გაიღო და ასობით ყმაწვილსა და ქალიშვილს მიეცა შესაძლებლობა ზიარებოდა მსოფლიო კულტურის საგანძურს.

ტექნიკუმის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა პირველმა დირექტორმა - კონსტანტინე კოვაჩმა. მან როგორც ბრწყინვალე ორგანიზატორმა, თავის გარშემო შემოიკრიბა მუსიკის ჭეშმარიტი ქომაგნი. ამგვარ პიროვნებათა შორის, უპირველესად, უნდა დავასახელოთ ოდისეი დიმიტრიადი - ტექნიკუმის პირველი სასწავლო ნაწილის გამგე. მისი როლი ისეთი მნიშვნელოვანი კოლექტივების შექმნაში, როგორიცაა სიმფონიური ორკესტრი და ხალხური გუნდი, ფასდაუდებელია.

დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების პედაგოგად მრავალი წელი იმუშავა ნიკოლოზ სიროეჟინმა, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ ,,მასწავლებელთა მასწავლებელს“. 30-იან წლებში მუსიკალურ ტექნიკუმში აფხაზურ ენას ასწავლიდა დიმიტრი გულია,

ამავე პერიოდიდან აქ მუშაობდნენ: მარია ლივენცოვა, მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ვ. ზარუდნაიას კლასით; ავგუსტა კასტორსკაია-კამენსკაია, ცნობილი ბანის ა. კასტორსკის ოჯახიდან; მარია რაზუმოვსკაია, ასევე მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ა. გედიკეს კლასით; მარია ბუბნოვა, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია ა. ესიპოვას კლასით; მარია ვეპრეისკაია, პეტერბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ლ. აუერის კლასით; სამუელ ელინსონი, მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებული; ვალენტინა ზიზდო-ემხვარი, თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი ა. თულაშვილის კლასით, ვალერიან პოლიაკოვი, პროფესიონალი მევიოლინე.

1931 წელს ტექნიკუმთან შეიქმნა აფხაზურ-ქართული გუნდი 30 მომღერლის შემადგენლობით, ხელმძღვანელი პლატონ ფანცულაია. 1933 წელს ტექნიკუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში, სასწავლებლის დირექტორი იყო ივან კორტუა, ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე, პროპაგანდისტი და შემგროვებელი.

1943 წლიდან, თითქმის 24 წლის განმავლობაში, სასწავლებელს სათავეში ედგა შალვა გორგაძე. მისი სახელი დღეს აც ნათელი გონების, გამოცდილების, კეთილგანწყობის, საქმის ერთგულების სიმბოლოა.

50-იან წლებში სასწავლებელში იწყება აღორძინების პერიოდი. აქ ჩამოდის ახალგაზრდა მასწავლებლთა ჯგუფი – თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულები. მათ შორის დოდო გაგუა, ლიდია მინდელი, ალა ურიდია, ცირა კარგარეთელი, ნინა ჩერქეზიშვილი, კონსტანტინე კინწურიშვილი, ოთარ თევდორაძე, იური ცხომელიძე, ლეილა ხაფავა. ამავე პერიოდში აქ ნაყოფიერ მოღვაწეობას იწყებს სოხუმის სასწავლებლისა და ერევნის კონსერვატორიის კურსდამთავრებული (ვალერიან პოლიაკოვის კლასით) ნიკოლოზ პელიონკინი.

50-იან წლებში სოხუმის სახელმწიფო მუსიკალურ სასწავლებელს ამთავრებენ – ნიჭიერი, ამ ცხოვრებიდან ადრე წასული კომპოზიტორი, მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტი (ტიხონ ხრენიკოვის კლასი) ნექტარიოზ ჩარგეიშვილი; მომავალი მუსიკისმცოდნეები: ვიქტორ ვასილევი, ალექსანდრა კუკბა, მერი ხაშბა; პიანისტები: მარჩელა ქეცბა, ელეონორა კოზმიდი, ემა ბგანბა, ელენე ბარსეგიანი; მომღერლები: თამარ ყოლბაია, არდაშილ ავიძბა; ვოკალის კლასში მეცადინეობენ – ზურაბ სოტკილავა (წლების განმავლობაში მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ლაურეატი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი); ამირან გაგუა (საქართველოს სახალხო არტისტი), ზაირა ხორავა და ტატა ჭანტურია (თბილისის საოპერო თეატრის სოლისტები), რაჟდენ გუმბა (აფხაზეთის სახალხო არტისტი, დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი). ამავე პერიოდში სასწავლებელს მიენიჭა გამოჩენილი კომპოზიტორის, ქართველი მუსიკის კლასიკოსის დიმიტრი არაყიშვილის სახელი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა აფხაზური ფოლკლორი, მეგობრობდა დიმიტრი გულიასთან და ძალ-ღონეს არ იშურებდა სასწავლებლის შემოქმედებითი პროცესის გაშლა-გაფართოებისთვის. ამასთანავე, დროთა განმავლობაში ტრადიციული ხდება სასწავლებლის კავშირები ქართველ მუსიკოსებთან, თბილისის კონსერვატორიასთან.

60-იანი წლების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასწავლებელში მუსიკის თეორიის განყოფილების გახსნა (1960 წ.), რომლის პირველი გამგე გახდა კომპოზიტორი ალექსი პოზდნეევი. განყოფილების პირველი კურსდამთავრებულები კი იყვნენ: კონსტანტინე ჩენგელია, რობერტ ჟურაველი, დიმიტრი გულია, კონსტანტინე ბგანბა. 1967 წელს მუსიკალურ სასწავლებელში იქმნება საოპერო სტუდია.

1970-90-იანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასწავლო დაწესებულების შემოქმედებით მუშაობაში. ამ დროს აფხაზეთის მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა რიგები შეივსო მუსიკოსებით, რომელთაც შესწევდათ უნარი ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადაეწყვიტათ მუსიკალური საკითხები, იქნებოდა ეს შემოქმედებითი, საშემსრულებლო თუ პედაგოგიური. ესენი იყვნენ: ლუბა ადლეიბა, ლუდმილა გუნბა, ლია ალანი, ელიტა ჯიკირბა, ესმა კოკოსკერია, ასიდა ცარგუში, ნანა რეხვიაშვილი, გრიგოლ ბარლასი, მარინა ჭეიშვილი, მანანა გეგენავა, ტატიანა ტირასი და სხვ. მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურა ორგანის კლასით დაამთავრა მარინა შამბამ. სასწავლებლის აღსაზრდელთა შორისაა ვადიმ აშუბა, რომელიც მუშაობდა ფოლკლორის სფეროში, ნოდარ ჩანბა - სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელისა, ვიაჩესლავ აიბა - გუნდისა და ორკესტრის დირიჟორი და პედაგოგი, საგუნდო სკოლის ხელმძღვანელი. რესპუბლიკის შემოქმედებით კოლექტივებში მუშაობას შეუდგნენ დინა კოზლოვა, ედუარდ ნანბა, ნაირა აშუბა, ლეონტი ენიკი, რუდიკ ხაგბა, მანანა პაპიაშვილი, ზურაბ შერშერია, მანანა შამბა, რაულ შაკაია და სხვ. თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურა დაამთავრა ტრომბონის კლასით ოლეგ ჯალაღონიამ.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ასრულებდნენ ან აგრძელებდნენ სწავლას: ხიბლა გერზმავა, ვერა გორემიკინა (მოსკოვის კონსერვატორია), ალისა გიცბა, ესმა ჯენია და გიორგი ავიცბა (მოსკოვის გნესინების სახელობის ინსტიტუტი), ირენა შერმანი (დონეცკის კონსერვატორია), გურამ კვიციანი, ოქსანა ყოლბაია, ფატიმა ჩერგინძია და დიმიტრი პეტროვი (კიევის კონსერვატორია), ქეთო სოსელია, რუსუდან შარიქაძე, არმენ იავრიანი, ნანა რეხვიაშვილი, ლიანა ბიკოვა, მარიკა ნადარეიშვილი, დავით ოკუჯავა და ლალი ჭილაია (თბილისის კონსერვატორია), ჯანსუღ ჩამაგუა, ბესლან აჯინჯალი და ნუნე ვართანიანი (ლენინგრადის კონსერვატორია), დიმიტრი კარიკოვი (ტაშკენტის კონსერვატორია), მანანა ესავა (ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტი).

ნაყოფიერად მუშაობდნენ პედაგოგები: ინა შერმანი, ელეონორა კოზმიდი, ნელი გორგაძე, ბეატრისა ყალიჩავა-გვაზავა, ლიანა ჭკადუა, სვეტლანა ხოჭოლავა, მარინა კვაშილავა, სალიმა იავრიანი, ლიუბოვ ადლეიბა, ნათელა ღვინჯილია, ნელი ლაკერბაი, ადა ტემიროვა, მანანა გეგეჭკორი, ნაზი ჭანტურია, თინა ახალაია, ნიკოლოზ პელიონკინი, ვლადიმერ კოზლოვი, არუთ მიტიჩიანი, მარკ კოგანი, ალექსანდრე ესებუა, იაკობ კაკუბავა, თამარ ფარულავა, კონსტანტინე ჩენგელია, ლუდმილა ზანთარაია, ნუგზარ წერეთელი, თამარ გორგაძე, ლეონიდ ჩეპელკიანსკი, პეტრე პეტროვი, ვიქტორ ვასილიევი, ლიუდმილა გუნბა, ჟოზეფინა ბუმბურიდი, ვალენტინა კოვალი, თამარ ყოლბაია, ვიოლეტა აკიშბაია, იური ნარმანია, ნიკოლოზ ნაიდენოვი, ვალენტინა ანტალავა, ჯულიეტა პანასიანი, გალინა ჭოლარია, რიმა ბჟანია, ვლადიმერ დეგტიაროვი, გურამ ყურაშვილი, ვეზდენ ოკუჯავა და სხვ.

აფხაზეთის იძულებით დატოვების შემდეგ 1996 წლიდან სასწავლებელი მოღვაწეობას აგრძელებს ქალაქ თბილისში. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მაშინდელი კულტურის მინისტრის, სვეტლანა ქეცბას ძალისხმევით მოხერხდა დევნილი პედაგოგების თავმოყრა და სასწავლებლის საქმიანობის გაგრძელება. სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა ღვაწლმოსილი პედაგოგი და უნიჭიერესი პიანისტი ეთერ გვაძაბია. სასწავლო პროცესს წლების განმავლობაში მართავდა ლამარა ცხაკაია. მაღალი პროფესიონალიზმით შეუდგნენ პედაგოგიურ საქმიანობას – ვიოლეტა აკიშბაია, ნანა ჯიშკარიანი, ნუგზარ წერეთელი, ვეზდენ ოკუჯავა, მანანა გეგეჭკორი, თამარ ახალაია, ნანა რეხვიაშვილი, მანანა ბერულავა, შორენა შარიქაძე, მანანა პაპიაშვილი, თემურ ელიავა, ქეთევან გოგოლაშვილი. სასწავლებელში მუშაობას იწყებენ ახალგაზრდა პედაგოგები: თამარ იაშვილი, მაია ცაავა, ირმა მორალიშვილი, ალდონა კალანდია, დავით ოკუჯავა, მადინა ტეხოვა, ანა ვაჩაძე, ზურაბ კვერნაძე, თემურ თამლიანი, თამაზ ლომსაძე, ციური აბესაძე, ნატო აბრამიძე, ანა გოშაძე, ნესტან ქარდავა, მარიამ შარაშენიძე, ელენე საჯაია, ეკა ბარნაბიშვილი. ნაყოფიერად მუშაობენ უკვე დევნილობაში მყოფი სასწავლებლის კურსდამთავრებულები: ალუდა თოდუა(მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი), ქეთევან ჭარხალაშვილი, ნინა უსტინოვა (უნგრეთში ლისტის აკადემიის სტუდენტი), გიორგი გადელია.

დევნილობაში მყოფი სასწავლებელი ღირსეულად აგრძელებს თავის საქმიანობას, მან არაერთი სახელოვანი და ნიჭიერი მუსიკოსი აღზარდა. ასეთები არიან: მარიკა გულორდავა (საოპერო მომღერალი), ალუდა თოდუა, მარიამ გობეჩია (საოპერო მომღერალი), ლელა სიხარულიძე (ბათუმის კონსერვატორიის სტ. ოპერის სოლისტი), ზვიად ხუხუა (საოპერო მომღერალი) და მრავალი სხვ. ისინი არაერთი კონკურსისა და ფესტივალის მონაწილენი არიან. რამდენიმე ყოფილი მოსწავლე სწავლობს თბილისის, ბათუმის, მილანის კონსერვატორიაში. ბევრმა დაამთავრა და დღეს უკვე წარმატებით ეწევა პროფესიულ საქმიანობას. ისინი მუშაობენ აფხაზეთის და თბილისის საგუნდო კოლექტივებში, სახელმწიფო ანსამბლში, ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2008 წლამდე ბევრი მოსწავლე ჰყავდა სასწავლებელს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან. სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი დაუბრუნდნენ საკუთარ კუთხეს და დღეს პედაგოგებად მუშაობენ იქ, სამუსიკო სკოლებსა და სტუდიებში. სასწავლებლის პედაგოგები, გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, არაერთხელ წარმოჩენილან როგორც მუსიკოს-შემსრულებლები. 2010 წლიდან სასწავლებელი დაფუძნდა როგორც სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, ქალაქ სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი 11 წლიანი სწავლებით. დღეს სასწავლებელი არ იარსებებდა რომ არა აფხაზეთის მთავრობისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა.

ძნელია, სასწავლებლის მრავალწლიანი მოღვაწეობის მოქცევა რამდენიმე ფურცელზე. მაგრამ, ვფიქრობ, ამ ძუნწი მონაცემებითაც ნათელი ხდება უზარმაზარი შრომა, რომელიც გასწია ათობით ადამიანმა კულტურის განსავითარებლად. დიდი სიყვარულით და მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ მათ.

როსტომ ჩხეიძე:

თედო სახოკიამ როგორც მოციქულმა, ჩვენამდე წინა ეპოქის სული მოიტანა

„ბიოგრაფიულ რომანებში ფანტაზია მაქსიმალურად შეზღუდული უნდა იყოს. თუმცა ფანტაზიას ვერ აცდები და წარმოსახვის გარეშე ცალკეულ მონაკვეთებს ვერ გაამთლიანებ. ამასთანავე, ისიც, რაც წარმოსახვაა, ამოდის პერსონაჟის ხასიათიდან, იმ ეპოქიდან, დაკვირვებიდან. ასე რომ წარმოსახვაც და ფანტაზიაც გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული. ეს ერთი მხრივ ზღუდავს ბიოგრაფიულ რომანს, მეორე მხრივ მისი თავისებურებაა, რომელიც მას დოკუმენტურად და ისტორიულად სანდოს ხდის. ამგვარი რომანი არა მხოლოდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, არამედ შეიძლება, დოკუმენტურ წყაროდ გამოიყენო“, - განაცხადა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრაზე, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის პროექტის - „მწიგნობართა კლუბები“ - ფარგლებში გაიმართა.

როგორც „ჩემი აფხაზეთის“ წინა ნომერშიც ვწერდით, „ახალგაზრდა მწიგნობრებმა“ შეხვედრაზე როსტომ ჩხეიძეს ძირითადად მის ორ ბიოგრაფიულ რომანთან - „ბედი პავლე ინგოროყვასი“ და „მოციქული“ (თედო სახოკია) - დაკავშირებით დაუსვეს შეკითხვები. როსტომ ჩხეიძემ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ამ ორი დიდი ადამიანის ღვაწლზე სამშობლოს წინაშე, იმ ურთულეს ეპოქებზე, როდესაც მათ უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა და დახატა მათი საოცრად შთამბეჭდავი პორტრეტები. წინა ნომერში პავლე ინგოროყვას პორტრეტი შემოგთავაზეთ, შეპირებისამებრ, ახლა თედო სახოკიას პორტრეტს გთავაზობთ:

როსტომ ჩხეიძე:

ხშირად მეკითხებიან, რატომ დავარქვი თედო საკოხიასადმი მიძღვნილ რომანს „მოციქული“. ეს არის ვახტანგ ჭელიძის მიერ მისთვის შერჩეული ეპითეტი. როგორც ჩვენმა, ისე წინა თაობებმაც ბევრი რამ საქართველოს ისტორიიდან ზეპირი გადმოცემებით იცოდა, რადგან მაშინ ყველაფრის დაწერა არ შეიძლებოდა. ცენზურა იყო ულმობელი. ვახტანგ ჭელიძემ და მისმა თაობამ ბევრი რამ ასე შეიტყო ერეკლე ტატიშვილისგან, გერონტი ქიქოძისგან, შალვა დადიანისგან, თედო სახოკიასგან... ვახტანგ ჭელიძეს უწერია თედო სახოკიასა და შალვა დადიანისადმი მიძღვნილ მემუარული ყაიდის ბიოგრაფიულ ნარკვევში: ესენი იყვნენ მოციქულები XIX საუკუნისა. ჩვენს ეპოქაში მათ მოიტანეს იმ ეპოქის სული, რაც ყველაზე ძნელია. სულის მოტანა არის ძალიან რთული. ეს ადამიანები იცნობდნენ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგს, იაკობ გოგებაშვილს. მათთან ურთიერთობა ჰქონდათ და წარმოიდგინეთ, გელაპარაკებათ კაცი, ვინც ილია ჭავჭავაძეს იცნობდა. შეიძლება ისეთი წვრილმანი, ისეთი დეტალი გითხრას, რომ სხვანაირად დაგანახოს ის ეპოქაც, იმ ეპოქის ადამიანებიც. ასე რომ, ვახტანგ ჭელიძის მიერ შერჩეული ეპითეტი „მოციქული“ ძალიან მომეწონა და რომანს ამიტომაც დავარქვი.

თედოს მოაქვს იმ ეპოქისთვისაც, იმ დროისთვისაც, ჩვენთვისაც XIX საუკუნის სული. ის არის XIX საუკუნის მოციქული, ის არის ხიდის გამდები XIX საუკუნესთან.

თედო სახოკია ხობის რაიონის სოფელ ხეთაში დაიბადა, ოღონდ, მოღვაწეობა უმთავრესად მოუწია სოხუმში. მან სოხუმში ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო ლიტერატურაზე, არამედ საზოგადოებაზე. პირველი ეროვნული პარტია საქართველოში თედო სახოკიამ შექმნა სოხუმში. მანამდე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც იყო დანაშაულებრივი მოვლენა. ეს იყო პარტია, რომელმაც ილია ჭაჭავაძე მოსაკლავად გაიმეტა. ჩვენმა მოღვაწეებმა დაინახეს, რომ პარტიას პარტიით უნდა დაუპირისპირდე და პირველად ეს შეძლო თედო სახოკიამ, რის გამოც იდევნებოდა. მან მოასწრო და უცხოეთში გავიდა. საერთოდ, ისეთი ბიოგრაფია, როგორიც თედო სახოკიას ჰქონდა, მწერლებში იშვიათია. ქართველი მწერლებიდან დავით გურამიშვილსა და თედო სახოკიას, კიდევ შეიძლება ითქვას, რომ ლევან გოთუას ჰქონდა ასეთი ბიოგრაფია - მღელვარე თავგადასავალი. თედო სახოკიას სტრიქონი რომ არ დაეწერა, მისი ბიოგრაფია იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი როგორც სათავგადასავლო გმირისა. მას არ მოკლებია არც დაპატიმრება, არც გადასახლება, არც ემიგრაცია, არც სიკვდილის წინაშე დგომა.

იმის გარდა, რასაც თედო თვითონ წერს, არის შესანიშნავი მთარგმნელი, შესანიშნავი ეთნოგრაფი. ევროპელები ვერ წერენ ისე ეთნოგრაფიულ ნარკვევებს, როგორც თედო სახოკია წერსო, თქვა აკაკი წერეთელმა, რომელიც აღტაცებული იყო მისი ნარკვევებით. მის წიგნში „მოგზაურობანი საქართველოში“ შესულია ნოველების მთელი წყება, შესანიშნავი დოკუმენტური ნოველები, ქრონიკები და ამას ბევრგან ვიმეორებ: კარგი იქნება, თუ ცალკეულ მონაკვეთებს თედო სახოკიას წიგნებიდან სკოლაში არა მხოლოდ დამატებით საკითხავებში, არამედ სახელმძღვანელოებში შეიტანენ. პირველ კლასელსაც გამოადგება და მეათე კლასელსაც, ოღონდ, შესაბამისი ადგილები უნდა ამოიკრიბოს მისი ნარკვევებიდან.

ლიტერატორი თედო სახოკია სულ ფუსფუსებს, სულ წერს, სულ რაღაცებს აკეთებს. გაიხედავ და ან იჭერენ, ან გარბის, ან იარაღი უჭირავს ხელში. აი, ასეთი ცხოვრება ჰქონდა მას.

თედო სახოკიას ციმბირში ასახლებენ. ყველა პატიმარს ხელბორკილი აქვს დადებული, მას კი აქვს ხელბორკილიც და ფეხბორკილიც. თედომ ერთი წელი გაატარა ციმბირში, თქვა, რომ ციმბირი მაინც შესასწავლი მქონდა როგორც ეთნოგრაფს და აქ ყოფნა გამომადგებაო. მართლაც, გაქანებული მასალებს აგროვებს, რათა დაწეროს ნარკვევები ციმბირზე. 10 წელი აქვს მისჯილი, გავიდა ერთი წელი და თქვა, რომ მე უკვე ნარკვევის დასაწერად საჭირო მასალები საკმარისად მაქვს, კიდევ ცხრა წელი აქ რატომ უნდა ვიყო და უნდა გავიპაროო. მოიწერა წერილი საქართველოში, იაკობ გოგებაშვილს მოსწერა, გამოქცევა მინდა და იქნებ დამეხმარო, ფული გამომიგზავნოო. გაუგზავნა ფული იაკობ გოგებაშვილმა, წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი საბჭოთა პერიოდში ხდება.

ბათუმში ჩამოსული თედო თურქეთში უნდა გაიპაროს, ის თითქოს სანდო ორ ადამიანს ჩააბარეს, მათ უნდა ჩაიყვანონ თურქეთში, მერე იქიდან იტალიაში და საფრანგეთში წავა. საფრანგეთში მანამდეც იყო ნამყოფი, უკვე იცოდა ყველა ევროპული ენა. ძალიან განათლებული კაცი იყო. სადაც ჩადიოდა, იქაურ ამბებს სწავლობდა, ნარკვევებს წერდა და საქართველოში აგზავნიდა. ციმბირიდან გამოქცეულმა გზაში ვერ მოითმინა, ნარკვევი გამოგზავნა და სანამ ჩამოვიდოდა, ის უკვე გაზეთში დაიბეჭდა. საქართველოში რომ ჩამოვიდა, თავის მეგობარს - შიო არაგვისპირელს მიაკითხა, შიომ უთხრა: ახლა სწორედ შენს სტატიას ვკითხულობდი გაზეთში და შენც გამომეცხადეო.

თურქეთში მიმავალი თედო ორ ლაზ მენავეს მიჰყავს. გზაში ერთი მენავე ეკითხება მეორეს: - ეს კაცი რომ ჩაგვაბარეს, ვინ არის? - რა ვიცი, ამ ქვეყნის გადატრიალება უნდა, იმპერატორს ებრძვისო. - ამ ჭინჭრაქას უნდა გადატრიალება? კარგად ყოფილა იმპარატორის საქმე, მაგრამ ეტყობა, ფული აქვს. მოდი, ნავიდან გადავაგდოთ და მისი ფული ჩვენ დავისაკუთროთო. ვაი, შენს თედოს, როგორი ამბავია. არადა ლაზური ხომ ესმის, იგივე მეგრულია და მეგრულად ეკითხება:- აი, ის შორს რომ მოჩანს, რა არისო? - უი, შენ გესმის, ჩვენი ლაპარაკიო?- კი, მესმისო. - ჩვენ ვხუმრობდით და შენ მართლა ხომ არ დაიჯერე, რასაც ვამბობდითო. -არა, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებიაო. - ოღონდო, - სთხოვეს, - შენი ჭირიმე, არსად გაგვამხილო, ასეთ რამეს რომ ვამბობდითო. გავა წლები და თითქმის 90 წლის თედო მოჰყვება ამ ამბავს, ისინი ანი ცოცხლები აღარ იქნებიან, ჩემზე ბევრად უფროსები იყვნენ და ახლა შეიძლება მისი გახსენებაო. თედო სახოკიამაც ხომ პავლე ინგოროყვასავით დიდხანს იცოცხლა.

რომ არა თედო სახოკია, არჩილ ჯორჯაძე დაკარგული იქნებოდა საქართველოსთვის, არჩილ ჯორჯაძე - ერთ-ერთი უდიდესი სახელი საქართველოს ისტორიაში. კაცი, რომელმაც ილიას საქმე გააგრძელა და ნაადრევად რომ არ გარდაცვლილიყო, სხვაგვარად იქნებოდა საქართველოს ბედისწერა: ძალაუფლებას ნოე ჟორდანია კი, არა, არჩილ ჯორჯაძე აიღებდა ხელში. ის არ დათმობდა, ბოლომდე იბრძოლებდა და საქართველო მოახერხებდა, რომ რუსეთის კაბალაში არ მოქცეულიყო. რეალობა ვინც კარგად იცის, ყველა დამეთანხმება, ეს ასე იქნებოდა.

არჩილ ჯორჯაძე იყო გარუსებული, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველო ეს რაღაც მიწის ნაგლეჯია და კაცი თუ ხარ, უნდა იყო მსოფლიო მოქალაქე. ის ლევ ტოლსტოის იდეებზე გადაირია, მიატოვა საქართველო და ცხოვრობს ტოლსტოის ახალშენში, ლონდონის სიახლოვეს. მერე გული აიყარა იქაურობაზე და ჩადის პარიზში, სადაც ხვდება თედო სახოკიას. თედომ იმხელა ზეგავლენა მოახდინა არჩილ ჯორჯაძეზე, რომ შემოატრიალა კაცი - ის თვალსაჩინო პოლიტიკური საზოგადო მოღვაწე ხდება. სხვათა შორის, არჩილ ჯორჯაძემ შექმნა ერთიანი ნიადაგის თეორია. ეს ხდება საუკუნის წინათ. მან ჩამოთვალა სახელმწიფოებრიობის ნიშნები, რას უნდა დაეფუძნოს ქართული სახელმწიფო და საერთოდ, სახელმწიფო. მოგვიანებით, ამერიკელ პოლიტოლოგებთან ვკითხულობთ, რომ ყველაზე სწორი მიმართულება ეს არის – ერთიანი ნიადაგის თეორია. სიტყვა-სიტყვით იმეორებენ იმას, რაც მათთვის უცნობია. მათ არ იციან არჩილ ჯორჯაძე და როდესაც ვუთხარით ამერიკელებს, რომ ეს იდეა საუკუნის წინათაც იყო გამოთქმული ქართველი მოღვაწის მიერ, არ დაიჯერეს. მერე მივაწოდეთ არჩილ ჯორჯაძის ნაწერები, ირწმუნეს და აღტაცებულნი დარჩნენ, თურმე როგორ აზროვნებს ქართველი პოლიტიკოსი, ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. აი, ეს არჩილ ჯორჯაძე დაუბრუნა საქართველოს თედო სახოკიამ.

შიო არაგვისპირელი საცხოვრებლად პოლონეთში აპირებს წასვლას. აქ ასპარეზი არა აქვს და კაპიკი ფული არ გააჩნია. თედო სახოკია ჰპირდება მას, შენ ოღონდ წადი ვარშავაში და ფულს მე გამოგიგზავნიო. თედოს რა ფული აქვს, რომელი მდიდარი და ქველმოქმედია, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილებიდან მიღებული ჰონორარის მხოლოდ მცირე ნაწილს იტოვებს თვითონ, უფრო მეტს შიოს უგზავნის... ასე ასწავლა მან თავის თანაკლასელს - შიო არაგვისპირელს ვარშავაში, საიდანაც ის როგორც ექიმი ბრუნდება საქართველოში.

თედო სახოკიამ ვასილ ბარნოვს ძალიან გაუადვილა ცხოვრება. უამრავი მოღვაწე, ვინც კი იხსენებს ვასილ ბარნოვს, ამბობს, თედო რომ არა, რა ეშველებოდაო. ის მხარში ედგა ყველას, დასდევდა მათ ნაწერებს, რომ დაბეჭდილიყო. თვითონ რა ფული ჰქონდა და იმასაც მათ უნაწილებდა, ყველანაირად უმსუბუქებდა ცხოვრებას.

თედო სახოკია 1924 წლის ამბებში, აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობდა და მისი ბინა თბილისში იყო შტაბბინა, სადაც პარიტეტული კომიტეტის წევრები იკრიბებობდნენ.

თედო სახოკიამ თარგმნა გი დე მოპასანის ნოველები, ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი“... მისი ორიგინალური თხზულებებისა და თარგმანების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოსაცემია, რის შემდეგაც ის სულ სხვა მაშტაბითა და გაქანებით წარმოდგება.

ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო; ემიგრაციაში არიან და გერონტი ქიქოძე, შესანიშნავი მოღვაწე, ესეისტი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე სტუმრობს ხოლმე ხშირად თედოს. გერონტი ქიქოძე ხედავს, რომელ საათზეც არ უნდა ეწვიოს - პირველზე, სამზე, ათზე, კალენდარზე იმ დღის ფურცელი ყოველთვის ჩამოხეულია. გერონტი ფიქრობს, ჯერ ხომ საღამო არ არის და რატომ უნდა ჩამოეხიაო. თან დაინტერესა, ნეტა რომელ საათზე ხევს კალენდრიდან ფურცელსო. ერთხელ სისხამზე ესტურმა და ნახა, რომ კალენდრის ფურცელი უკვე ჩამოხეული ჰქონდა. ვერ მოითმინა და ჰკითხა: - ასე ადრე რატომ ხევ კალენდრის ფურცელს, ჯერ ხომ მთელი დღე წინ არისო. თედომ უპასუხა: - ემიგრანტისთვის ის დღე, რომელიც დგება, უკვე განვლილი დღეაო. ანდაზასავით უპასუხა. ძალიან ბრძენი კაცი იყო. სხვათა შორის, ანდაზები აქვს შეგროვილი, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელიც სამ ტომეულად გამოვიდა. ერთგვარი ლექსიკონია, იკითხება როგორც რომანი. უამრავი ამბავი ეთნოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიიდან, მითოსიდან, თუ რამე გაინტერესებთ, ყველაფერი იქ არის. გარდა იმისა, რომ ენას ისწავლით, ხატოვან აზროვნებას მიეჩვევით, ქართულ ანდაზებს შეითვისებთ, ამბებია ერთმანეთზე უკეთესი და მნიშვნელოვანი.

1925 წელს ასეთი წარმოუდგენილი ამბავი მოხდა: თედო სახოკიას საქართველოში იარაღის შემოტანა დაევალა. იარაღს საქართველოს გასათავისუფლებლად გიორგი დეკანოზიშვილი აგზავნიდა. სახელები, რომლებსაც აქ ვახსენებ, დიდი სახელებია. ისინი ათწლეულების განმავლობაში მივიწყებულნი იყვნენ. გიორგი დეკანოზიშვილმა არჩილ ჯორჯაძესთან ერთად პარიზში შექმნა გაზეთი „საქართველო“, რადგან ეროვნული ხასიათის გამოცემები საქართველოში აკრძალული იყო. ვინ იქნებოდა ამ გაზეთის გამოცემაში გარეული, თუ არა თედო სახოკია? გიორგი დეკანოზიშვილმაც იარაღი რომ გამოგზავნა, თედოს უთხრა, იარაღს შენ უნდა დახვდე და ფოთიდან მის გადმოტვირთვას შენ უნდა უხელმძღვანელოო. თედო მაშინ დაუკავშირდა დავით კლდიაშვილს, რომელიც ოფიცერი იყო ბათუმში. დავითიც იყო განდობილი ამ საქმეში.

გადის ხანი და სერგო ორჯონიკიძემ მიიწერა ეს ამბავი, ჩვენ ბოლშევიკებმა შემოვიტანეთ საქართველოში იარაღიო. ასე იწერებოდა საბჭოთა ისტორიკოსების მიერ საქართველოს ისტორია. მაშინ თედო სახოკია იცინოდა და ვახტანგ ჭელიძეს, ოთარ ჩხეიძეს და გიორგი შატბერაშვილს ეუბნებოდა: - სადაც ჩვენ ვიყავით, იქ მოსვლას სერგო ორჯონიკიძე როგორ გაბედავდაო.

სინამდვილეში თედო სახოკიამ გადმოტვირთა ის იარაღი და სერგო ორჯონიკიძემ რა როლი ითამაშა, არ გაინტერესებთ? დაბეზღა თედო ხელისუფლებასთან, ეროვნული მოღვაწეები ფოთში იარაღის გადმოტვირთვას აპირებენო...

ბედად, ფოთის პოლიცმეისტერი უთანაგრძნობს მეამბოხეებს, ეროვნულ მოღვაწეებს და მათ მისვლა დააცადა, იცოდა, რომელ საათზე უნდა ჩამოეტვირთათ იარაღი. რაზმი დაგვიანებით და ხმაურით მივიდა ადგილზე, თედომ და მისმა თანამოაზრეებმა იარაღის ნაწილის წაღება და იქიდან გარიდებაც მოასწრეს. მოგვიანებით, თედო იხსენებდა, რომ დაფანტულ იარაღს ხან ვის ოჯახში პოულობდნენ და ხან ვის ოჯახში.

რაც უფრო სიღრმეში შედიხარ, ხედავ, რომ თედო სახოკია არის ძალიან დიდი მოვლენა, რომლის ნაწერებიც სრულად უნდა გამოიცეს. უკეთესი საკითხავი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ბევრს არ ექნება. ენასაც ისწავლი, ქართულ ლიტერატურასაც გაეცნობი, მითოსსაც, ყოფასაც და დასავლეთის ცხოვრებასაც.

ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, რომ გვინდა დაკავშირება დასავლეთთან, რომ ქართული საზოგადოება უნდა შევიდეს დასავლურ წრეში. პავლე ინგოროყვა იმ წრეში იყო უკვე, თედო სახოკია იმ წრეში იყო უკვე და მათგან ძალიან ბევ რამეს ვისწავლით, როგორ უნდა გავხდეთ დასავლური კულტურის მართლაც სრულუფლებიანი და განუყოფელი ნაწილი.

ჩაიწერა *ნატო კორსანტიამ*

ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით

ბეჭან ხორავა

პირველი გვერდიდან

ციხე-ქალაქი ნიკოფსია მდ. ნიკოფსიის (ამჟამად ნეჩეფსუხო) მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. ეს მხარე ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სივრცეში იყო მოქცეული. ,,აფხაზთა“ სამეფოს და შემ-

სიმონ კანანელი

დეგ ერთიანი ქართული სამეფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ქ. ნიკოფსიასთან, მდ. ნიკოფსიაზე გადიოდა და ასე იყო საუკუნეების განმავლობაში. ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს.) აღნიშნავდა, რომ ნიკოფსიაში იყო ლუსკუმა სიმონ კანანელის ნეშტით. XI საუკუნის შუა ხანებში დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობისას აღნიშნავდა: „ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. მოგვიანებით, მისი ნეშტი ანაკოფიაში გადმოუსვენებიათ. მატათა მოციქული ზღვისპირა ციხე-ქალაქ აფსაროსში (ამჟამად გონიო) გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ ამ რეგიონს ინტენსიური პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა რომთან და მის აღმოსავლურ პროვინციებთან, მცირე აზიის ცენტრებთან.

ძვ. წ. I საუკუნიდან საქართველო რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. I-IV საუკუნეებში საქართველოს შავიზღვისპირეთის სანაპირო ციხეებში – აფსაროსი (გონიო), ფაზისი (ფოთი), ზიგანეოსი (გუდავა), სებასტოპოლისი (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა), გაგრა, – რომაელი მეციხოვნეები იდგნენ. ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეებში ჩაყენებული რომაული გარნიზონები, რომელთა ძირითად კონტინგენტს მცირეაზიელები შეადგენდნენ. მცირე აზია კი რომის იმპერიის ის რეგიონი იყო, სადაც ქრისტიანობა ჩაისახა და ამ რეგიონიდან წამოყვანილ ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანულ იდეებს იყო ნაზიარები. ამდენად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხე-ქალაქები ქრისტიანობის გავრცელების მძლავრ კერებს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში.

ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში ეგრისის (კოლხეთის) დასავლურ-ქართული სახელმწიფო აღდგა. ამ სახელმწიფოს რომაელები და ბერძნები სამეფო დინასტიის წარმომავლობის მიხედვით ,,ლაზიკას“, ხოლო მის მოსახლეობას ,,ლაზების“ სახელით მოიხსენიებდნენ, ,,ქართლის ცხოვრება“ კი მას ტრადიციულად ,,ეგრისს“, მის მოსახლეობას ,,ეგრისელებს“ უწოდებს. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ეგრისის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. შავიზღვისპირეთში ის რიზედან გაგრის ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდა ეთნო-პოლიტიკური ერთეულები: აფსილია (აფშილეთი), აბაზგია (აფხაზეთი), თაკვერი (რაჭა-ლეჩხუმი), სვანეთი. ეგრისის მეფეს ტახტზე რომის იმპერატორი ამტკიცებდა და სამეფო ნიშნებს უგზავნიდა.

პირველი ქრისტიანული თემების არსებობა საქართველოში არქეოლოგიური მონაცემებით I საუკუნიდან დასტურდება. 326 წელს ქართლის (იბერიის) და ეგრისის (ლაზიკის) სამეფოებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქრისტიანობის გავრცელებამ აუცილებელი გახადა საკულტო ნაგებობების ახალი სტილის შემუშავება. ასეთი გახდა ეკლესია. ტერმინი ბერძნულიდან მომდინარეობს და შესაკრებელ ადგილს აღნიშნავს. შემდეგში ,,ეკლესია“ დაერქვა იმ შენობას, სადაც ქრისტიანთა კრებული ლოცვისათვის თავს იყრიდა. საქართველო თავდაპირველად განიცდიდა ჯერ რომაული, შემდეგ კი ბიზანტიური ხელოვნების გავლენას. თავდაპირველად ეკლესიები მცირე ზომის და მარტივი კონსტრუქციის იყო: წაგრძელებული, ორფერდასახურავიანი, უგუმბათო ნაგებობა, რომელიც ზოგჯერ სვეტების მწკრივებით ნავებად (ნაწილებად) იყო დაყოფილი. მათ ბაზილიკებს უწოდებენ. V საუკუნიდან ბაზილიკები მონუმენტურ სახეს იძენენ.

საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის სპეციფიური ტიპი – სამეკლესიიანი ბაზილიკა. გარეგნულად სამეკლესიიანი ბაზილიკა ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან არ განსხვავდება, მაგრამ შიგნით ნავები ერთმანეთისაგან სვეტებით კი არ არის გამოყოფილი, არამედ კედლებით. ე. ი. არსებითად, ერთ შენობაში გაერთიანებულია სამი დამოუკიდებელი სამლოცველო. ასეთი ძეგლები ქართული ხუროთმოძღვრების პირმშოა და ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რაც თვალნათლივ მოწმობს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთიანობასა და მთლიანობას ამ ადრეულ ეტაპზე.

VI საუკუნიდან ბაზილიკების გვერდით თანდათან ვრცელდება გუმბათოვანი ეკლესიები. მათი თავდაპირველი სახეა ჯვრის ტიპის ნაგებობა. ეკლესიის ბირთვს წარმოადგენს კვადრატი, რომელზეც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ჯვარისებრი გეგმა ვითარდება. ჯვრის ტიპის ნაგებობათა შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ტაძრები, სადაც გუმბათი დაყრდნობილია არა კედლებზე, არამედ ტაძრის შუაში მდგარ ოთხ სვეტზე. ასეთი ნაგებობები VII საუკუნიდან გვხვდება. ასეთი სტილის ეკლესიები გავრცელებულია აფხაზეთშიც.

ბიჭვინთა და მისი ქრისტიანული სიძველენი. IV საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად ბიჭვინთა ჩამოყალიბდა. ანტიკური ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარზე გამოვლინდა II-IV სს. ციხის ნაშთები, აგრეთვე ქრისტიანული სატაძრო უბანი. IV საუკუნის I მეოთხედში აქ ქრისტიანული საეპისკოპოსო კათედრა შეიქმნა. ბიჭვინთის სატაძრო უბანში აღმოჩნდა IV საუკუნის დასაწყისის ერთნავიანი ბაზილიკური ეკლესიის ნაშთები, რომელიც ეპისკოპოსის რეზიდენციას წარმოადგენდა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ I მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა. IV საუკუნის შუა წლებში ბიჭვინთის საეპისკოპოსო ეკლესია მტრის შემოსევის შედეგად დანგრეულა. მოკლე ხანში მის ადგილას, IV საუკუნის მეორე ნახევარში, ახალი სამნავიანი ბაზილიკური ეკლესია აუგიათ, რომლის იატაკი შესანიშნავი მოზაიკური მხატვრობით იყო შემკული. IV საუკუნის ბოლოს ეს ეკლესიაც დანგრეულა და აღარ აღუდგენიათ. ბიჭვინთის ნაქალაქარის სატაძრო უბანში არქეოლოგებმა VI საუკუნის დასაწყისის მცირე ზომის კიდევ ერთ ტაძარს მიაკვლიეს, რომელიც 542-562 წწ. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში ,,დიდი ომიანობის“ ხანაში დაინგრა.

ბიჭვინთის მოზაიკის ფრაგმენტი

ბიჭვინთის ნაქალაქარის მოშორებით, ზღვის სანაპიროსთან, რელიქტურ ფიჭვნარში აღმოჩნდა კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთი, რომელიც თავისი გეგმით უჩვეულოა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისათვის. ეს არის სწორკუთხა, ორნავიანი, ორაფსიდიანი ეკლესია. თითოეული ნავი თავისი საკურთხევლითურთ ტოლფასი მნიშვნელობის დასრულებული ეკლესიაა. ამრიგად, ნაგებობა მოიცავს ორი ერთნაირი სიდიდისა და მნიშვნელობის ეკლესიას. იგი V-VI სს. თარიღდება. ერთ ნაგებობაში ორი ტოლფასი ეკლესიის არსებობა ორი წამებულის, ან სამარხი ეკლესიაა.

სოფელ ალაჰაძეში, აჰაშნიხას ბორცვზე შემორჩენილია ორი ეკლესიის ნაშთი. არქიტექტურულ კომპლექსში შედის პატარა სამნავიანი და სამაფსიდიანი ეკლესია, და მეორე, დიდი სამნავიანი ბაზილიკა შვიდწახნაგოვანი აფსიდით. ხუროთმოძღვრებს შესანიშნავი ადგილი შეურჩევიათ არქიტექტურული კომპლექსის ასაგებად: სამხრეთ-დასავლეთით ზღვა, ჩრდილოეთით ძიხჩასა და მამძიშხას მთების შესანიშნავი ხედები, აღმოსავლეთით მდ. ბზიფი. დიდი ტაძრიდან კარგად შემორჩა სამხრეთის და დასავლეთის კედლების ფრაგმენტები. ტაძარი აგებულია კირქვის ბლოკების, აგურის ოთხფენიანი სარტყლისა და ქვიშაქვის ფილების რიგების მონაცვლეობით. საკურთხეველი დიდი ზომით გამოირჩევა, დარბაზი გაყოფილია სამ ნავად სვეტების ორი რიგით. მის ჩრდილო-დასავლეთით, ხუთ მეტრზე არის პატარა ეკლესიის ნანგრევები. ისიც აგებულია მოთეთრო ფერის კირქვის კვადრებით, გამოყენებულია აგრეთვე დამუშავებული ქვიშაქვის ბრტყელი მასიური ფილები, აგრეთვე ადგილზე დამზადებული ბრტყელი აგური, გამოყენებულია რიყის ქვაც. ეკლესიები გადახურულია ორი სახის კრამიტით – ბრტყელი და ღაროვანი (კალიპტერები). ეკლესიები თარიღდება IV-VI საუკუნეებით, მაგრამ სამშენებლო მასალის ერთგვაროვნების მიუხედავად ძნელია მსჯელობა მათ სინქრონულობაზე. ეკლესიები წერილობით წყაროებში არ იხსენიება.

განთიადის ბაზილიკა. გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, დაბა განთიადში, ზღვის სანაპიროზე დგას ტაძრის ნანგრევები. ტაძარი წარმოადგენს სამნავიან, შვერილაბსიდიან ბაზილიკას. იგი აგებულია საშუალო ზომის სწორი ფორმის კირქვის კვადრებით, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ბრტყელი აგური. ტაძარში მიკვლეულია მარმარილოს ფრაგმენტები, ხუროთმოძღვრული დეკორატიული დეტალები, ამფორები და მინის ჭურჭელი, რომელიც VI საუკუნით თარიღდება. ამავე დროით თარიღდება ეკლესიაც. ბაზილიკაში 15 ქრისტიანული სამარხი აღმოჩნდა. ნანგრევებში აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელზეც ბერძნული ასომთავრული წარწერით გამოყვანილია [ΑΒΑ]ΣΓΙΑϹ (აბაზგიისა, აბასგისა). როგორც ჩანს, წარწერა აფხაზეთის საერო ან სასულიერო წარჩინებული პირის საფლავს განეკუთვნებოდა. საკუთარი სახელი დაკარგულია. წარწერა თარიღდება VI საუკუნით. ეკლესია წერილობით წყაროებში არ იხსენიება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

განთიადის ბაზილიკა

თუ ერთმანეთის ენა არ გვეცოდინება, ვერც ერთმანეთის სათქმელს გავიგებთ

ნინო გრიგოლია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით წლეულს პირველად საფუძველი ჩაეყარა აფხაზური ენის პედაგოგების გადამზადების ტრადიციას. შესაბამისი ტრენინგის ჩატარება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურმა უზრუნველყო.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ძალისხმევით, 2015-2016 სასწავლო წლიდან აფხაზეთის რამდენიმე საჯარო სკოლაში სწავლების საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის სახით ისწავლება აფხაზური ენა. ეს გარემოება კი მოითხოვს სკოლებში არსებული შესაბამისი კადრების გადამზადებასა და აფხაზური ენის სწავლებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის შექმნას.

საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულებიდან გამომდინარე (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ენა ქართულთან ერთად მეორე სახელმწიფო ენაა), აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის, შესწავლის, პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის მიზნით აფხაზეთის საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლება ერთ-ერთი ქმედითი ნაბიჯია აფხაზური ენისა და კულტურის გადარჩენის გზაზე. პროექტი კიდევ ერთი დასტურია ქართული სახელმწიფოს ზრუნვისა აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებისათვის.

ტრენინგში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის მასწავლებლები მონაწილეობდნენ. მათ ტრენინგები ჩაუტარეს აფხაზური ენის კვალიფიციურმა სპეციალისტებმა, რომელთაგან ერთ-ერთმა აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრისას თქვა:

„როდესაც ქართველი ბავშვები აფხაზური ენის შესწავლას იწყებენ, ცხადია, მას აღიქვამენ როგორც უცხო ენას. მათ ხომ არა აქვთ აფხაზური სიტყვების არავითარი მარაგი. თვითონ აფხაზური ენის მასწავლებლები კარგად ფლობენ აფხაზურ ენას, მაგრამ აქვთ პრობლემები სწავლების მეთოდიკაში, ვინაიდან არ არის შესაბამისი ლიტერატურა და პროგრამა. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ყველაფერს აკეთებს საჭირო პროგრამების შესამუშავებლად. ჩვენც მათთან ერთად ვცდილობთ გზების პოვნას, რათა ბავშვებმა იოლად შეითვისონ აფხაზური ენა. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ქართველი ბავშვებისთვის შეგვედგინა ხმოვანი აფხაზური ტექსტები, რაც მათ ამ რთული ენის შეთვისებაში დაეხმარებოდათ.

აფხაზური ენის გაკვეთილზე

სასიამოვნოა, რომ აფხაზური ენის პედაგოგები ღიად საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე, იმაზე, რომ ყველა ბავშვს არ სურს ისწავლოს აფხაზური ენა. ეს ნორმალურია, რადგან ბავშვები ვერ ხედავენ მოტივაციას, რისთვის ისწავლონ ეს რთული და მათთვის გაუგებარი ენა. ჩვენც აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ ვიპოვოთ ამ პრობლემების ამოხსნის საშუალებები, დავეხმაროთ პედაგოგებს პრობლემების გადალახვაში. ამისთვის აუცილებელია, დავანახოთ ბავშვებს მოტივაცია, რისთვის სჭირდებათ აფხაზური ენა. ბავშვი თვითონ ვერ შეძლებს ამის გაგებას. ჩვენ უნდა ვიპოვოთ მათი გულებისკენ მიმავალი გზა და ვუთხრათ, რომ ის დღეს არის თავისი დროის გმირი, ქვეყანას სჭირდება, რომ მან ისწავლოს აფხაზური ენა, რათა დაელაპარაკოს აფხაზებს. აფხაზმა ბავშვებმა არ იციან ქართული ენა, ქართველმა ბავშვებმა კი რუსული ენა. ერთი სიტყვით, არ არსებობს ენა, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ისინი საუბარს. არადა, თუ ერთმანეთის ენა არ გვეცოდინება, ვერასოდეს გავიგებთ ერთმანეთის სათქმელს. ამასთანავე, როგორი პოლიტიკაც არ უნდა გატარდეს, ჩვენ ერთმანეთის მეზობლად ვართ და ერთმანეთთან ურთიერთობას ვერსად გავექცევით.

ამდენად, აფხაზური ენის სწავლება ქართულ სკოლებში უნდა იყოს წახალისებული. იქნებ, სკოლებს შორის, რომლებიც აფხაზურ ენას სწავლობენ, შეჯიბრება მოვაწყოთ აფხაზური ენის ცოდნაში და ბავშვების დაინტერესება ამითაც გავზარდოთ. აფხაზების ტრადიციებზე უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, ქართველების ტრადიციებზე, იმაზე, რა საერთო აქვთ მათ. ასე ბევრ საერთოს იპოვიან, ბევრ რამეს, რაც გვაახლოებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვანაირები ვართ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აფხაზური ენის პედაგოგებთან არის მეტი სამუშაო ტრენინგებით, ინტერაქტიული მეთოდების მოშველიებით და ა.შ. სწავლების პროცესი უფრო საინტერესოდ უნდა წარიმართოს, ბევრი მრავალფეროვანი პროგრამა გვქონდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს აფხაზურ ენასთან ურთიერთობის შესანიშნავი მაგალითები, თუ რა გაუკეთებიათ ამ ენის განვითარებისთვის სახელოვან ქართველ მეცნიერებს - არნოლდ ჩიქობავას, სიმონ ჯანაშიას, ქეთევან ლომთათიძეს და სხვ.“

ტრენინგში მონაწილე აფხაზური ენის მეორე კვალიფიციურმა სპეციალისტმა, ჟურნალისტმა **ირმა ოსია-კინწურაშვილისამ** კი აღნიშნა:

„აფხაზური ენის მასწავლებელთა ტრენინგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელებული არაჩვეულებრივი პროექტია. ტრენინგის პროცესმა ცხადყო, რომ პედაგოგებმა აფხაზური ენა კარგად იციან, უბრალოდ, არა აქვთ სახელმძღვანელოები, ენის შემსწავლელი ანიმაციური დისკები, ენის სწავლების გამოცდილება. ჩვენ კი მათ ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია გავაცანით, ტრენინგები ჩავუტარეთ ზუსტად იმ მეთოდით, რა მეთოდითაც აფხაზური ენა უნდა ასწავლონ სკოლებში. მიმაჩნია, რომ ამგვარი ტრენინგები წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გაიმართოს.

ჩვენ რამდენიმე წლის წინათ გავაკეთეთ აფხაზური ენის შემსწავლელი ანიმაციური ფილმი და დისკებზე გადავიტანეთ. როცა ბავშვი ვიზუალურად ხედავს, ბევრად უფრო კარგად აღიქვამს და იმახსოვრებს შესასწავლ მასალას. ამ დისკებმა ქართულ სკოლებში დიდი მოწონება დაიმსახურა: დღემდე იქ ჩაწერილ აფხაზურ სიმღერებს მღერიან, ლექსებს იმეორებენ. ამგვარი მეთოდებით ვაპირებთ ახალი ანიმაციური ფილმების შექმნას. ვხელმძღვანელობთ ქართველი ბავშვებისთვის ინგლისური და სხვა ენების სწავლების მეთოდოლოგიით, რომელსაც აფხაზური ენის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, რაღაცეებს ვამატებთ, რომ უფრო საინტერესო იყოს სწავლების პროცესი.

ვფიქრობ, რომ ეს არის დასაწყისი რაღაც დიდისა და ყოველივე ეს უფრო მნიშვნელოვან, სერიოზულ ურთიერთობას დაუდებს სათავეს“.

დევნილი ბავშვები ესპანეთის სამეფოში

საკუთარი ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ინტეგრაციისა და სოლიდარობის საერთაშორისო ფონდ „FINSOL-ის" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები ესპანეთის სამეფოში გაემგზავრნენ. წლეულს ამ პროექტის ფარგლებში დასასვენებლად 20 ბავშვი გაემგზავრა, რომელთა უმეტესი ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდანაა.

მოზარდები ორი თვის განმავლობაში ესპანურ მოხალისე ოჯახებში დაისვენებენ, სადაც ისინი გაეცნობიან მდიდარ ესპანურ კულტურას, შეისწავლიან ესპანური ენას და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სახის აქტივობებში. გამგზავრებამდე პროგრამაში მონაწილე ბავშვებსა და მათ მშობლებს ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე კუჭუხიძე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მანანა ქვაჩახია შეხვდნენ და ბედნიერი დასვენება უსურვეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ფონდი „FINSOL" 2008 წლიდან თანამშრომლობენ. მათი ხელშეწყობით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბავშვები საზაფხულო არდადეგებს ესპანეთში ყოველწლიურად ატარებენ. პროექტი აფხაზეთის მთავრობის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება.

ამას წინათ გამომცემლობა „ინტელექტის“ ოფისში ნანა ეხვაიას წიგნის - „ცა და მიწა“ - წარდგინება გაიმართა.

ნანა ეხვაია გიორგი ლობჟანიძემ და ლია სტურუამ ძალიან შთამბეჭდავად წარუდგინეს დამწრეთ, რის შემდეგაც ნანა ეხვაია დაწერს: დიდ ადამიანებს სხვისი შემჩნევა ეადვილებათ!

ნანა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში დაიბადა და 5 წლის ასაკიდან ზუგდიდში გაიზარდა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და ისევ ქ. ზუგდიდს დაუბრუნდა.

გთავაზობთ წიგნის რედაქტორის გიორგი ლობჟანიძის წინასიტყვაობას და რამდენიმე ლექსს ***ნანა ეხვაიას*** *ახალი პოეტური კრებულიდან.*



როგორც ნამი ბალახის ფოთლებზე...

ნანა ეხვაიას ლექსებს დიდი ხანია, ვიცნობ, წლების განმავლობაში ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში აქა-იქ დაბეჭდილი მისი პოეზიის ნიმუშები ისეთ მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, რომ ავტორის გვარ-სახელი თავისთავად დამამახსოვრდა. არადა, ავტორი, თითქოსდა, არასოდეს მიმართავს საგანგებო ხერხს იმისათვის, რომ თავი დაგამახსოვროს. უბრალოდ, ძალდაუტანებლად წერს იმას, რასაც განიცდის და ასევე სადად გადააქვს ქაღალდზე თავისი ნაფიქრალი, მაგრამ სწორედ ეს უბრალოება და სისადავე აქცევს მის ნაწერს ნამდვილ პოეზიად.

ნანა ეხვაია მინიმალისტური ლექსის ნამდვილი ოსტატია. ხშირად რამდენიმე მონასმით, სულ რამდენიმე სიტყვით გადმოსცემს თავის განწყობას, რომელიც მკითხველს კარგა ხანს მიჰყვება, მორევივით აბრუნებს საკუთარ თავში და თავის თავს თითქოს ხელახლა აღმოაჩენინებს.

ეს ერთგვარი თერაპიაა და, როგორც ჩანს, უპირველესად - თვითონ ავტორისთვის, რომლისთვისაც პოეზია მსხვერპლშეწირვის ან, უფრო ზუსტად, საკუთარი თავის გა(მო)ღების რიტუალს ემსგავსება.

ამ ,,რიტუალისათვის“ სათქმელი სიტყვები ფაქიზად უნდა შეირჩეს და განსაკუთრებული რიტმი უნდა ახასიათებდეს. ეს რიტმი ნანა ეხვაიას ლექსებს ბუნებრივად მოსდევს უაღრესად სევდიანი და მჭვირვალი კოლხური სიღრმეებიდან, მშობლიური მეგრულის არაჩვეულებრივი სილბოდან და სიმართლიდან.

საქმე ისაა, რომ პოეტი თითქმის მთელი სიცოცხლე სამეგრელოში, ზუგდიდში ცხოვრობს. იქ წერს ამ შესანიშნავ ლექსებს და რამდენიმე კრებულიც, მეგობართა და ახლობელთა დახმარებით ზუგდიდშივე გამოსცა, მაგრამ ამ ადრინდელმა კრებულებმა, ტირაჟის სიმცირისა თუ იმის გამო, რომ ჩვენ რეალურად არ ვიცით, რა ხდება ჩვენს ლიტერატურულ პერიფერიებში, თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა.

სხვათა შორის, ესეც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რაც ძალიან არ მომწონს დღევანდელი საქართველოს სამწერლობო ცხოვრებაში. დედაქალაქი ჯიუტად არ ,,იმჩნევს“ ხოლმე იმ – ხშირად ძალზე საინტერესო – მხატვრულ და კულტურულ პროცესს, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში მიმდინარეობს და, არსებითად, არაფერი ვიცით იმაზე, თუ რას წერენ, ვთქვათ, ქუთაისელი, ხაშურელი ან იგივე ზუგდიდელი პოეტები.

და თუ ზოგჯერ, მხოლოდ ძალიან იშვიათად, მაინც აღვნიშნავთ ხოლმე პოეტის საცხოვრებელ პერიფერიას, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თითქოს ამა თუ იმ პოეტს ამის გამო რაღაცა შეღავათი და ჩვენი წინასწარი კეთილგანწყობა სჭირდებოდეს.

მახლას! - ნანა ეხვაიას მაგალითი სრულიად საპირისპირო სიმართლეს გვიდასტურებს! ამ შესანიშნავი ლექსებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ,,პროვინციალიზმი“ და მათ შორის, ,,ლიტერატურული პროვინციალზმი“ სულის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების მახასიათებელია და ის არაფრით არ უკავშირდება ადგილს, სადაც ნიჭიერი ადამიანი მოღვაწეობს.

ნანა ეხვაია თავისი ლექსებით მთლიანად არის ჩართული არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო პოეზიის ერთიან კონტექსტში. ის შესანიშნავად იცნობს იმ გზას, რაც პოეზიამ აქამდე გაიარა და ამიტომაც სრულიად არის ადაპტირებული დღევანდელი პოეზიის ურთულეს სივრცეებში. ამიტომაც შეუძლია, დაიკავოს ამ სივრცეში თავისი განსაკუთრებული ნიშა და მთლიანი ლიტერატურული კონტექსტით ისე ისაზრდოოს, რომ არავის გავლენის ქვეშ უხეშად არ მოექცეს.

ვერლიბრის ის ინტონაციური მოტივები, რაც მსოფლიო პოეზიაში, პირობითად, უოლტ უიტმენის ,,ბალახის ფოთლებით“ დაიწყო, ნანა ეხვაიას ლექსებში უაღრესად თავისებურად გაიელვებს და ახალ ესთეტიკურ ღირებულებად გადატყდება. რადგან: ანგლოამერიკული პოეზიის ეს ნეიტრალური ინტონაცია ნანა ეხვაიას ლექსებში ქართული და კოლხური მოტივებით არის შეწონასწორებული.

ამიტომაც მისი არაჩვეულებრივი ლექსები ქართული ლექსის სივრცეებში ისე ბრწყინავს, როგორც ნამი ბალახის ფოთლებზე.

სასიხარულოა, რომ გამომცემლობა ,,ინტელექტი“ ამ გამოცემით ნანა ეხვაიას შემოქმედების შედარებით სრულ კრებულს გვთავაზობს. ეს ავტორის ფაქტობრივი დებიუტია. პოეტსა და მკითხველს, რომელსაც თავისებურ და კარგ პოეზიასთან ზიარება ელის, ფეხბედნიერ შეხვედრას ვუსურვებ.

გიორგი ლობჟანიძე

ლექსები

ნანა ეხვაია

* * *

შენ ჩემი ჩრდილიც არ დაიტოვე,
როგორც მზე ვერ ითმენს
ღრუბლის ნამცეცებს;
შენ ჩემი ცრემლიც არ დაიტოვე,
როგორც დარები სდევნიან წვიმებს;
ჩემი ღიმილის წაშალე ალი,
როგორც ხსოვნათა მრუდე ბილიკი
და ჩემგან შენი თაყვანისცემის
მაღალ ჩანჩქერებს გზა ჩაუქოლე,
შენ ჩემი თმენის უხმო კივილებს
დუმილის ავი ეშვით ურჩინე
და ქვამარილად მიქციე დარდი.

* * *

შენი დუმილით შეშფოთებულთან
მოვა ქარი და ამიყოლიებს,
შენი დუმილით შეშფოთებულთან
მოვა სიკვდილი - დამიყოლიებს.
თუ არ დაასწარ ქარებს და სიკვდილს,
შენი დუმილით შეშფოთებულს
დრო უღიმღამოდ წამიყოლიებს.

* * *

ჩემივ ფიქრების ქვრივი ვარ,
ჩემივ სურვილთა მუშტარი -
აბა, ვინა მყავს სტუმარი,
ვისთვის დავანთო ბუხარი?

* * *

ბავშვობისას
ფერად საღებავებს ვნატრობდი დიდხანს,
მაგრამ ამაოდ...
და ახლა, დიდი ხნის მერე,
როცა რაიმე სურვილი არ ამისრულდება,
უნებურად ვიგონებ
იმედგაცრუების იმ პატარა რეპეტიციას.

* * *

ყოველ საღამოს გალობს შაშვი
ნედლი ფოთლების მსუბუქ ბინდებში,
თუმცა, გაზაფხულის ლხინის სუფრაზე
ჯერაც იგრძნობა სევდის სიჭარბე.

* * *

შენი ერთგულებისთვის დავიბადე -
უშენოდ, ამაოდ დავიხარჯე.
შენი სიზმრების მებაღედ დავიბადე -
ჩუმ-ჩუმი ტკივილებით დავიქარგე.
შენი მასპინძლობისთვის დავიბადე -
უსტუმროდ, მარტოსულად დავიკარგე.
მსხმოიარობის მსუყე მტევნიდან
სულ მარცვალ-მარცვალ განვიძარცვე.

* * *

თუ უგზოობას გზა უნდა რქმოდა,
შენს არიდებულ თვალებს - იარა,
ჩემი გრძნობების უენო ფარამ
შენსკენ ამაოდ რატომ იარა?

* * *

მე მხოლოდ მზისკენ მსურდა
გახედვა,
მზერა კი მთვარის ჩრდილზე
გახევდა.

* * *

მიდიხარ,
მიდიხარ - კედელი.
გააღწევ.
მიდიხარ,
მიდიხარ - ისევ კედელი
და ძალა - მერამდენემდე?

* * *

მარჯნის წამებს
წვიმა წაშლის,
მეწყერმწყრალი
წლების ყავლიც
წყება-წყება
გავა გაღმით.

* * *

როგორც სარეცელს, მიეჯაჭვა
ჩემს ფანჯრებს მთვარე.
მდარაჯობს? მშველის?
მითენებს ღამეს?

* * *

მარწყვის მურაბით დატკბილულ ჩაის
მარწყვის კი არა, ცრემლის გემო აქვს
და უშენობის გასაქარვებლად
საკიდს შერჩენილ შენს ქურთუკს ვზვერავ.

* * *

მე მოვილიე ჩემი წილი
გზა და ნიღაბი! –
უდუბლიოროდ ვითამაშე
ყველა როლი
და უგრიმოდაც,
ორიგინალში ვერ წავიკითხე
თუმცა, ბევრი რამ!!!

* * *

ყველა იმედი ისე დაცურდა,
როგორც კრამიტი სახურავიდან,
მინდვრის ყვავილთა მწველი სურნელი
მკრთალ განთიადთა თრთვილმა შეჭამა.
მიიზლაზნება ცაზე ღრუბელი
და ფიქრიც, მცხრალი, ცეცხლდაშრეტილი,
კვალდაკვალ მისდევს სიმდორეს მისას.

* * *

მე მიყვარს ჩემი ტკბილ-მწარე სევდა
და ზაფრანებად ასხმული დარდი.
მე ჩემი სევდის ტკბილ-მწარე ტყვე ვარ
და ზაფრანებად ასხმული დარდის
დიდი მეგზური.

მეგობარს

ტკივილთა ზარებს ვეხლებით, თინა...
შემოდგომები წამოგვეწია;
წამი წამებად სიხარულთა
ბევრი გვიმკია,
წამი წამებად ბევრჯერ გვწვევია;
მაინც აღმართებს მივუყვებით
და დედამიწა, ხშირად ქვაწვია,
ისევ სიკეთის ფარჩად გვაცვია.

* * *

მე გამეფანტა
ყველა ქარვა -
მოძღვნილი მზისგან
ყელშესამკობად,
რადგან ფერების
გარჩევის ნიჭი
წამართვა ქარმა.

კოკა ვაჩნაძე

მისი სიმღერის მუსიკის შთაგონება აფხაზეთი იყო

გურიაში დაიბადა თუმცა, როგორც იტყვიან, სისხლის ყივილმა აფხაზეთში, დედულეთში დააბრუნა, რადგან მისი დიდი ბებია, ფატიმა ბიგვაა, აფხაზი გახლდათ. დედაც, ქლბატონი ნელი ბაქრაძე, აფხაზეთში, ქალაქ გუდაუთაშია დაბადებული.

ხუთ წლამდე, მამამისის, ბატონ ვალერიან მჟავიას სოფელში, კონჭკათში იზრდებოდა. ხუთი წლის რომ გახდა, მთელი ოჯახი სოხუმში გადავიდა, სადაც 1993 წლამდე ცხოვრობდა.

ზურაბ მჟავიამ სოხუმში დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, პარალელურად სწავლობდა მუსიკალურ სკოლაში, შემდეგ სოხუმის არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო განათლება.



„სიმღერა სოხუმზე“ იყო პირველი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მე-3 კლასში დაწერა, სიმღერა სკოლის გუნდმა ოლიმპიადაზე შეასრულა. ამას მოჰყვა კამერული ჟანრის სხვადასხვა ოპუსები. თავიდან არ უფიქრია მუსიკას გაყოლოდა, რადგან არქიტექტორი უნდოდა გამხდარიყო (კარგად ხატავდა და ხაზავდა), მაგრამ მისი მუსიკალური გზა განსაზღვრა ერთმა შეხვედრამ ქართული მუსიკალური ხელოვნების მეტრთან, ბატონ რევაზ ლაღიძესთან, რომელმაც მოისმინა რა მისი ნაწარმოებები, დაჟინებით ურჩია სერიოზულად გაჰყოლოდა მუსიკას და ჩაებარებინა კონსერვატორიაში. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა მისი შემოქმედებითი გზა და 1969 წელს ჩაირიცხა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ცნობილი კომპოზიტორის, მაესტრო ალექსი მაჭავარიანის კლასში და დაეუფლა კომპოზიტორის პროფესიას.

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მისი პედაგოგი მაესტრო ალექსი მაჭავარიანი ასე ახასიათებს ახალგაზრდა კომპოზიტორს. (ფრაგმენტი ჩანაწერიდან)

„მე ბედნიერად მივიჩნევ თავს, რომ მრავალი წლის განმავლობაში, აი, უკვე 60 წელია კონსერვატორიაში ვმუშაობ პედაგოგად საკომპოზიციო კლასში. ჩემს კლასში აღზრდილი მუსიკოსები საკმარისად მრავალნი არიან. მათ შორის, რასაკვირველია იყვნენ უფრო ნიჭიერნი, საშუალოდ ნიჭიერნი, უნიჭოებიც, მაგრამ პედაგოგისთვის საყვარელი არის ის ახალგაზრდა, რომელიც სიყმაწვილეშივე ამჟღავნებს თავის ენერგიას, თავის შემოქმედებით უნარს, ხალისს, სიხარულს. მათ შორის მე მინდა დავასახელო შესანიშნავი ახალგაზრდა ზურაბ მჟავია, რომელიც შემოვიდა ჩემს კლასში და რაღაც ხალისი შემოიტანა. იცით, მე მაშინ ვიფიქრე, რომ აი, ეს ახალგაზრდა იმედის მომცემი არის და მართლაც აღმოჩნდა იგი ძალიან საინტერესო, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნდა ჯერჯერობით სათანადო მომზადება და იყო ძალიან ნედლი, მან მაინც გამოიჩინა დიდი ინტერესი და ყოველ მის შემოქმედებით ნამუშევარს ჰქონდა რაღაცა ისეთი სახასიათო, გამორჩეული ჟღერადობა, ჰქონდა სასიცოცხლო უნარი, ცოცხალი ინტონაცია, ცოცხალი ბგერა. ეს ყველაფერი საბოლოოდ თავს იყრის მის შემოქმედებაში, მის მომავალში და აი, დღეს მე კიდევ ვიმეორებ, რომ ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩემს სტუდენტთა შორის მრავალნი აღმოჩდნენ საკმარისად ცნობილნი და ნიჭიერნი.

ზურაბ მჟავიას მუსიკას რომ ვისმენ, ხალისიანად ჟღერს, ყოველთვის ოპტიმისტურად ჟღერს, მის მუსიკაში არის სასიცოცხლო ენერგია, რაღაც ორიგინალური ბგერა, მის მუსიკაში არის რაღაც განსხვავებული დამოკიდებულება ხელოვნებასთან, მუსიკასთან, სილამაზესთან. ასე, რომ მე ძალიან მიხარია, რომ ზურაბ მჟავიამ გაამართლა იმედები და ის დღეს ქართული საზოგადოების წინაშე წარსდგება როგორც საინტერესო მუსიკოსი, როგორც საინტერესო კომპოზიტორი. დარწმუნებული ვარ, რომ ის მომავალში კიდევ უფრო მეტს გააკეთებს და უფრო მეტ სიხარულს მოუტანს მისი მუსიკის მოყვარულებს, რომლებიც პატივს სცემენ მას, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას, ნიჭიერ მუსიკოსს, კომპოზიტორს.“

ალექსი მაჭავარიანი, კომპოზიტორი.

(ვიდეოჩანაწერი გადაღებულია 1990 წელს და ინახება საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ფონდში).

პირველი სერიოზული დიდი ფორმის ნაწარმოები, სიმფონია „დ ი ო ს კ უ რ ი ა“, რომელიც მის მშობლიურ აფხაზეთს მიუძღვნა, 90-იანი წლების დასაწყისში შესრულდა, ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით (ჩანაწერი დაცულია საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში„).

ზურაბ მჟავია მრავალი კინოფილმისა და სპექტაკლის მუსიკის ავტორია, თუმცა ფართო საზოგადოებამ ის სიმღერებით გაიცნო. „დეკემბერი, დეკემბერი“ მისი სავიზიტო სიმღერა გახდა და 1982 წელს, წლის საუკეთესო სიმღერად აღიარეს, მაგრამ საყოველთაო აღიარება გოგი დოლიძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა მოუტანა. ყველა სიმღერა, რომელიც კომპოზიტორმა ზურაბ მჟავიამ სპეციალურად გოგი დოლიძესთვის შექმნა, ჰიტად იქცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გოგი დოლიძის შემოქმედების ღირსეული გზის ღირსეულ გამგრძელებლად იქცა ახალგაზრდა მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე, რომელსაც ზურაბ მჟავიას სიმღერამ „ქართველების ერთად ყოფნა, დამილოცე ღმერთო“ პირველი ადგილი და გრან-პრი მოაპოვებინა ჯერ საქართველოში და შემდეგ პრაღისა და ტალინის საერთაშორისო კონკურსებზე. როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, უცხოელი მსმენელისთვის, ეს პატრიოტული სიმღერა, რომელიც მორის ფოცხიშვილის ლექსზეა დაწერილი და განსაკუთრებით აღელვებს ქართველ მსმენელს, გასაგები და მისაღები გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცნობილმა ინგლისელმა მომღერალმა, ტონი ომეილმა, ეს სიმღერა თავის რეპერტუარში შეიტანა და ქართულად მღერის. უნდა ვივარაუდოთ, ამის მიზეზი გახლავთ ის ჰარმონიული წყობა, რომელიც ზურაბ მჟავიას შემოქმედებას ახასიათებს და როგორც ხშირად აღნიშნავენ, მისი მუსიკა ღრმად ქართული და თანამედროვე ევროპულია, ალბათ, ამიტომაც არის ევროპელებისთვისაც ასე გასაგები და მისაღები. აქვე დავძენთ, რომ ახალგაზრდა თაობაში მისი სიმღერების განსაკუთრებული პოპულარობა ამ ნიშნით არის განპირობებული. ნინი შერმადინი და ირაკლი ჩოლოყაშვილი, დუეტი „ჯორჯია“, თეატრალური კვარტეტი, აჩიკო ნიჟარაძე, ოთო ნემსაძე, მერაბ ვარდოსანიძე, ბორის და სოფო ბედიები და სხვა ახალგაზრდა მომღერლების რეპერტუარშია კომპოზიტორ ზურაბ მჟავიას სიმღერები, რომ არაფერი ვთქვათ უფროსი თაობის ქართული ესტრადის აღიარებულ ვარსკვლავებზე, როგორებიცაა: გოგი დოლიძე, ნანი ბრეგვაძე, თეიმურაზ წიკლაური, ნანული აბესაძე, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, თამრიკო ჭოხონელიძე, თამარ გვერდწითელი, ზურაბ კობეშავიძე, ზურაბ დოიჯაშვილი და სხვ.

კომპოზიტორ ზურაბ მჟავიას პატრიოტულმა და ლირიკულმა სიმღერებმა: „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „ვაზის სიმფონია“, „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „ქართველების ერთად ყოფნა დამილოცე ღმერთო“, „ნუ მწერ“, „თბილისი იყო ურთიერთობა კეთილშობილთა ყრმათა“, „რა ცოტა წყალი ჰყოფნით იებს სიცოცხლისათვის“, „თქვენ ყველაფერი გშვენით“, „ჰიმნი ახალ სიცოცხლეს“, „დეკემბერი, დეკემბერი“ და სხვა... მრავალ მომღერალს აღიარება და პოპულარობა მოუტანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სიმღერების ნაწილმა სხვადასხვა წლებში, წლის საუკეთესო სიმღერის ტიტული მოიპოვა.

საგულისხმოა, რომ კომპოზიტორი ზურაბ მჟავია განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიმღერის ტექსტს ანიჭებს. მას მიაჩნია, რომ ტექსტმა უნდა განაპირობოს ის მუხტი, რომელსაც სიმღერაში ჩადებს. მან შექმნა სიმღერები პოეტების: ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გოგლა ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, მორის ფოცხიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, კოლაუ ნადირაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მედეა კახიძის, ვანო ჩხიკვაძის, თინათინ მღვდლიაშვილის და სხვა ქართველ პოეტთა ლექსებზე.

მის შემოქმედებაში ერთადერთი „რეკვიემია“, რომელიც გოგი დოლიძის ხსოვნას მიეძღვნა და „ქართული ხმების“ პირველი თაობის მომღერლებმა შეასრულეს. რეჟისორმა ვახტანგ მამალაძემ კლიპიც შექმნა და ის საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ფონდშია დაცული.

ზურაბ მჟავიას მეუღლე, დარეჯან გურასაშვილი, წარსულში მომღერალი, ამჟამად პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, ის ინგლისური ენის სპეციალისტია. ჰყავთ სამი შვილი: ლევანი, ლაშა და ანანო. ლევანი ექიმია, ლაშა ეკონომისტი, ტურიზმის სპეციალისტი, ანანო კი ხალხმა „ჯეოსტარიდან“ სიმღერით გაიცნო, ის პროფესიით დიზაინერია.

კომპოზიტორი ზურაბ მჟავია არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის და თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.

2000 წელს ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ზურაბ მჟავია სახელმწიფო ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

„ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიოს 14 ენაზე“

ნონა ბერაია

ასე ერქვა ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში გაიმართა და შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავს მიეძღვნა. როგორც ცნობილია, 2016 წელი იუნესკომ მსოფლიოში რუსთაველის წლად გამოაცხადა.

ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის „ლიტერატურის მოყვარულთა“ წრის (უფროსი პედაგოგი ქ. არზიანი), საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის მეორე და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეები, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმის“ წევრები. ღონისძიების მონაწილეებმა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, მათ შორის უცხოელებმა, წაიკითხეს „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ, თურქულ, სპარსულ, ინდურ, იაპონურ, ებრაულ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენებზე. მოსწავლეებმა, სიმბოლურად, პოემა 1712 წელს გამოცემული წიგნიდან წაიკითხეს.

სასახლის თეთრ დარბაზში მოეწყო მოსწავლეთა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქ. თბილისში, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის სპორტულ დარბაზში გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა ფარიკაობაში 2001-2002, 2003-2004, 2004-2005 წ.წ. დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის ხმალში, რაპირასა და დაშნაში. შეჯიბრებაში საქართველოს რეგიონების მოფარიკაველებთან ერთად აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ირანის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით, აფხაზეთის სპორტსმენები შემდეგი საპრიზო ადგილების მფლობელები გახდნენ:

ხმალში: ალექსი ფოფხაძე - III ადგილი, ლიზა ჩიგოგიძე - III ადგილი, თეკლა ბიწაძე - III ადგილი, ალექსანდრე თავართქილაძე - II ადგილი.

რაპირაში: გიორგი ხარაიშვილი - III ადგილი, ნატალია ხარაიშვილი - II ადგილი.

აფხაზეთის ღია პირველობას ფარიკაობაში ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი, ცნობილი ხატმწერი ქეთი მატაბელი.

აფხაზეთის ღია პირველობაში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით.

სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია გუგუშვილმა და ცნობილმა ხატმწერმა ქეთი მატაბელმა გამარჯვებულთათვის სპეციალური პრიზები დააწესეს. ქეთი მატაბელმა თავისი ნამუშევრებით დაჯილდოვა საუკეთესო ტექნიკური მოფარიკავე და ყველაზე უმცროსი ასაკის მოფარიკავე. საუკეთესო ტექნიკური მოფარიკავის სპეციალური პრიზი წილად ხვდა აფხაზეთის წარმომადგენელს ალექსანდრე თავართქილაძეს.

ტურნირი მინი-ფეხბურთში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით,აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ჩაატარა ტურნირი მინი-ფეხბურთში.

საპრიზო ადგილისათვის დაძაბულ თამაშში გაიმარჯვა და მესამე საპატიო ადგილის მფლობელი გახდა აფხაზეთის მთავრობის აპარატის გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გუნდები. ძირითადი თამაში დამთავრდა ფრედ 2:2. პენალტების სერიაში გაიმარჯვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გუნდმა და პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

ირაკლი ცხოვრებაშვილი ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიო თასის ჩემპიონი გახდა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი მსოფლიო თასის ჩემპიონს ძალისმიერ სამჭიდში აფხაზეთიდან დევნილ ირაკლი ცხოვრებაშვილს შეხვდა და გამარჯვება მიულოცა.

ახლახან უკრაინის ქალაქ ლუცკში ჩატარდა მსოფლიო თასის მეშვიდე გათამაშება ძალისმიერ სამჭიდში და სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში, რომელშიც მონაწილეობდა 411 სპორტსმენი 15 ქვეყნიდან. საქართველოდან ამ შეჯიბრებაზე გაემგზავრა 6 სპორტსმენი. მათ შორის იყო აფხაზეთიდან დევნილი ირაკლი ცხოვრებაშვილი, რომელმაც 100 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მოიპოვა. ირაკლი ცხოვრებაშვილმა ასევე დაამყარა ევროპის რეკორდი 222, 5 კგ. შედეგით წოლჭიმში. სულ საქართველოს ნაკრების წევრებმა 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ნორჩ რაგბისტთა ფესტივალზე

საქართველოს რაგბის კავშირის, რაგბის კლუბ „ზუგდიდის“ ხელმძღვანელის სანდრო ესაკიასა და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, აფხაზეთის მოზარდთა გუნდმა „თოლიებმა“ თბილისში, რაგბის საწვრთნელ-სანაკრებო ბაზა „შევარდენზე“ ნორჩ რაგბისტთა ფესტივალში წარმატებით იასპარეზეს.

ფესტივალს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ყოველწლიური სპორტული თამაშები

აფხაზეთის რეგიონალური ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული თამაშების ჩატარება ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. თამაშები საქართველოს რეგიონებში ტარდება, ფინალური ტურნირები კი თბილისში.

წლეულს სპორტული თამაშები ზუგდიდში ჩატარდა და მასში ზუგდიდის ზონის ხუთი სკოლა მონაწილეობდა. თამაშების პროგრამაში შეტანილი იყო მძლეოსნობა, მინი-ფეხბურთი, „მხიარული სტარტები“, ძლიერთა ტურნირი, ჭადრაკი, ბაგირის გადაძალვა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის კოლექტივმა, მეორე ადგილი - აფხაზეთის №12 საჯარო სკოლის გუნდმა, მესამე ადგილი კი აფხაზეთის №14 საჯარო სკოლამ.

გარდა ამისა, წლეულს პირველად ჩატარდა სპორტული თამაშები ბათუმში, ბათუმის ახალ დასახლებაში, დევნილთა დასახლების გუნდისა და ფოთის №21 საჯარო სკოლის გუნდებს შორის. გამარჯვება მოიპოვა ბათუმის დასახლების გუნდმა (ხელმძღვანელი ოთარ ქობალია).

თამაშების ცალკეულ სახეობებში გამარჯვებული გუნდები პრიზებითა და დიპლომებით, ხოლო საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები თასებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

აფხაზეთის საბავშვო სპორტული თამაშები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

გვერდი მოამზადა ლელა მიქელაძემ

„აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკის" პრეზენტაციაზე

ნინო გრიგოლია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის გაფართოებულ სხდომაზე „აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკის" პრეზენტაცია გამართა. სხდომაზე ასევე იმსჯელეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობაზე.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ განაცხადა: „ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობის საკითხი მუდმივად დღის წესრიგში გვაქვს, ამით კიდევ ერთხელ გვინდა გავაგებინოთ მსოფლიოს, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ძირძველი აფხაზეთი, რომელიც გარემოებათა გამო დავკარგეთ და ამხელა უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას. ჩვენ ცხადია, არც იმას უარვყოფთ, რომ აფხაზებთან ერთად ვაშენებდით აფხაზეთის კულტურის ძეგლებს, რომლებიც ახლა სახარბიელო მდგომარეობაში არ არის და დაცვა სჭირდება".

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსმა ირაკლი გელენავამ დამსწრეთ წარუდგინა „აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკა". მან ასევე ისაუბრა რუკაზე დატანილ ძეგლებზე და მათ რეალურ მდგომარეობაზე, ამ ფასეულობათა დაცვის მიზნით, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის 2014 წლის 11 ნოემბრისა და 2016 წლის 24 მარტის სხდომების რეკომენდაციების შესასრულებლად, ამ სამსახურის მიერ გაწეულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის დიმიტრი ჯაიანის თქმით, „აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვა და პოპულარიზაცია", რომლის ქვეპროგრამაცაა „აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკა". მის შესადგენად სპეციალიტებმა და კომპეტენტურმა ექსპერტებმა ძალიან შრომატევადი სამუშაო გასწიეს. რუკა ხელს შეუწყობს აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ზუსტი რიცხოვნობის წარმოჩენას და სამომავლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიებას გაამარტივებს".

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ „აფხაზეთის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების რუკის" მნიშვნელობაზე საუბრისას თქვა: „დარწმუნებული ვარ, ამ რუკის გამოცემა ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ უნიკალურ ძეგლებს სპეციალისტების და ექსპერტების დასკვნების გარდა, სჭირდება ერთობლივი ძალისხმევა, რათა დროულად შევძლოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ჩვენი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა. საგულისხმოა, რომ არსებობს რუკის ელექტრონული ვერსიაც, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია".

ბოლოს განიხილეს რეზოლუციის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა შეიმუშაოს ერთი მთავარი მიზნისკენ - საქართველოს გამთლიანებისკენ მიმართული სტრატეგიული გეგმა. მეტი ინფორმაცია და ცოდნა უნდა მიიღონ ახალგაზრდებმა აფხაზეთის შესახებ. საერთაშორისო პარტნიორები მეტად ინფორმირებულები და ჩართულები უნდა იყვნენ სამშვიდობო პროცესებში.

თბილისში ილორის წმინდა გიორგის ტაძრის შენდება

საკუთარი ინფორმაცია

თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე ილორის წმინდა გიორგის ტაძრის საძირკველი აკურთხეს. კურთხევის წირვა-ლოცვა მეუფე მელქისედეკმა აღავლინა და ბოლოს თქვა, რომ ეს ტაძარი და ილორის წმინდა გიორგი შეეწევა აფხაზეთში ჩვენს დაბრუნებას.

ტაძრის კურთხევას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს წევრები და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მეუფე მელქისედეკმა პატრიარქის სახელით მადლობა გადაუხადა აფხაზეთის ხელისუფლებას ტაძრის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის და აფხაზეთის მთავრობა დალოცა.

ვახტანგ ყოლბაიამ ასევე მადლიერება გამოთქვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ტაძრის მშენებლობაში მონაწილე ყველა ადამიანის მიმართ და დასძინა: „მინდა ყველას მივულოცო ილორის ტაძრის საძირკვლის კურთხევა, ეს შესანიშნავი დღე, რაც დიდი მადლი და ძალაა ჩვენთვის. ილორის სალოცავი განსაკუთრებული ძალის მატარებელი იყო მუდამ. აფხაზეთში დაბრუნებას კი დიდი მოთმინება, ნებისყოფა და სულის სიმტკიცე სჭირდება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პატრიარქს, მთელ საზოგადოებას, ეკლესიის წინამძღვარს - მამა ლევანს, მეუფე მელქისედეკს, რომელმაც დღევანდელი წირვა ჩაატარა და ეკლესიის საძირკველი აკურთხა„„ – განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

რედაქტორი ნატო კორსანტია
ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია